

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა არაბისტიკა

ბირთველიშვილი მარიამ

ღვთისმშობლის კულტი აღმოსავლურ

ტრადიციაში და მისი განსაკუთრებული ადგილი კოპტურ  
ეკლესიაში

ნაშრომი შესრულებულია არაბისტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი მარიამ ნანობაშვილი,  
ფილოლოგიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2019

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

MA Program in Arabic Studies

Birtvelishvili Mariam

The Cult of the Mother of God in the Eastern Tradition  
and Its Special Place in the Coptic Church

The work is compiled to obtain the MA degree in Arabic Studies

The supervisor Mariam Nanobashvili

PhD, TSU Associate Professor

Tbilisi 2019

## სარჩევი

ანოტაცია	4
ანოტაცია ინგლისურად	5
შესავალი	6
თავი I. მარიოლოგია	
ასურული ტრადიციის მიხედვით	10
თავი II. მარიაში, როგორც შუამავალი ადამიანსა და უზენაეს შორის	14
თავი III. ისტორიული ცნობები ღვთისმშობლის შესახებ	19
თავი IV. წმინდა მარიაში კოპტურ ტრადიციაში	22
თავი V. მიძინება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა	32
დასკვნა	42
გამოყენებული ლიტერატურა	43

## ანოტაცია

ღვთისმშობელი მარიამი ერთ-ერთი გამორჩეული წმინდანია მთელს მსოფლიოში. მისი კულტის გავლენა მეტად ძლიერია როგორც ქრისტიანულ, ისე მუსლიმურ სამყაროში. იგი მიიჩნევა ყველაზე ღირსეულ და საყვარელ წმინდანად წმინდანთა შორის. მას ეძღვნება მთელი თავი ყურანშიც.

ნაშრომში განხილულია ამ წმინდანთან დაკავშირებული ჰაგიოგრაფიული, ისტორიული და ჰომილეტიკური მასალა. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული წმინდა მარიამის კულტზე აღმოსავლურ, კოპტურ და ზოგადად, ეგვიპტურ ტრადიციაში. დასახელებულია ის ისტორიული ადგილები და ეკლესია-მონასტრები, რომლებიც დაკავშირებულია წმინდა ოჯახის მოგზაურობასთან ეგვიპტეში.

## Annotation

Mary, the Mother of God, is one of the most eminent saints in the world. The influence of her cult is significant not only in the Christian, but also in the Islamic society. She is considered the noblest and the most beloved saint among all the saints. To her is dedicated the whole surah of the Koran.

This paper deals with the hagiographic, historical and homiletic materials about this saint. Particular attention is paid to the cult of Mary in the Eastern, Coptic and Egyptian traditions in general. There are named historical sites, churches and monasteries, which are associated with the flight of the Holy Family in Egypt.

## შესავალი

წმინდა მარიამი და მასთან დაკავშირებული გადმოცემები საუკუნეების განმავლობაში იყო და არის როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური ხელოვნების, მუსიკისა და ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი თემა. ღვთისმშობელი არის საერთაშორისო ფიგურა, რომელსაც შესწევს ძალა ადამის მოღვმის გაერთიანებისა. იგი საიდუმლო იარაღი იყო მისიონერთათვის საუკუნეების განმავლობაში და საყვარელ წმინდანად იქცა მათთვისაც, ვინც ქრისტიანობა იწამა. მას შეუძლია გააერთიანოს ქვეყნები და ადამიანთა გარკვეული ნაწილი, მიუხედავად მათი სხვადასხვა რელიგიური კუთვნილებისა თუ რწმენისა. მაგალითად, გერმანელმა მხატვარმა კეტე კოლვიცმა ღვთისმშობლის სახით გადმოსცა დედობრივი სიყვარული და ის უდიდესი ტკივლი იმ დედებისა, რომლებმაც შვილი დაკარგეს პირველ მსოფლიო ომში. მას თაყვანს მიაგებენ სხვადასხვა რელიგიური მოძრაობის წევრები [რუბინი 2004 : 1-2].

ღვთისმშობლისა და ყრმა იესოს გამოსახულებები შემორჩენილია კედლის მხატვრობისა და პაპირუსების სახით. სხვადასხვა რელიგია თუ ქრისტიანული განშტოება სხვადასხვაგვარად გადმოსცემს წმინდა ქალწულის სახეს. მაგალითად, ეგვიპტურ ტრადიციაში ის არის დედა-ქალღმერთი, ხოლო სირიულ ლიტერატურაში იგი დაახლოებულია წმინდა სამების საიდუმლოსთან. ამბები ლათინურ, ბერძნულ, სირიულ, კოპრურ თუ სომხურ ენაზე ავსებენ სახარებისეულ მონათხრობს. აღნიშნული წერილობითი წყაროები გადმოსცემენ ამბავს ქრისტეს შობის შესახებ და ასევე აღწერენ ღვთისმშობლის მიძინების ამბავსაც. ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ მარიამი იძულებული გახადეს, რომ დაეტოვებინა ქალაქი იერუსალიმი და გადასულიყო ბეთლემში [რუბინი 2004 : 4-5].



წმინდა ქალწული და მისი ცხოვრებისეული დეტალები ხშირად პოლემიკის ძირითადი თემა გამხდარა როგორც ქრისტიანებსა და იუდეველებს, ისე მუსლიმებს შორის. იგი მიიჩნეოდა ქრისტეს ბეჭდად დედამიწაზე და აღმოსავლეთ იმპერიის მათარველად. მისი სინმინდე იქცა ქრისტიანული თეოლოგიისა თუ მუსიკის ძირითად თემად. არსებობს მთელი რიგი ნაწარმოებები, რომლებიც აღიდეგენ ღვთისმშობლის სინმინდესა და მის უცოდველობას [რუბინი 2004 : 5-6].

მეორე ათასწლეულის დასაწყისში მეტად გაიზარდა იმ ნაშრომების რაოდენობა, რომლებიც ღვთისმშობელს ეძღვნება. ბერ-მონაზონნი ქმნიდნენ ჰიმნებსა და საგალობლებს, რომლებიც მეტად პოპულარული იყო მორწმუნეთა შორის. მიუხედავად ამ ყველაფრისა, საზოგადოების გარკვეული ნაწილი აკრიტიკებდა მარიამისადმი მიძღვნილი საგალობლების თემატიკასა თუ გამოხატვის ხერხს. მათი აზრით, ჰიმნებისა და საგალობლების უმეტესობა ჭარბ ემოციას იწვევდა მსენელში, რაც ხელს უშლიდა მას კონცენტრირებაში. მაგრამ, თუ ერთხელ მაინც მოვუსმენთ ყველა იმ საგალობელს, რომელიც ღვთისმშობლის სადიდებლადაა შექმნილი, აღმოვაჩინოთ, რომ მასში ერთმანეთს ერწყმის სიბრძნე უზენაესისა და ჰარმონია ისევე, როგორც წმინდა ქალწულია განსახიერება ამ ორი ელემენტის ერთობისა. საუკუნეების განმავლობაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ლეგენდები და გადმოცემები წმინდა ქალწულის შესახებ. იყო შემთხვევები, როდესაც მას ადგილობრივ დიალექტზეც თარგმნიდნენ, რათა საზოგადოების ფართო მასებისათვის ადვილად გასაგები და მეტად დასამახსოვრებელი ყოფილიყო. გვიან შუა საუკუნეებში იქმნებოდა ნაწარმოებები, რომლებიც გარკვეულ პოლიტიკურ თუ რელიგიურ იდეას ემსახურებოდა. აღნიშნულ ტექსტებში შევხვდებით კონკრეტულ და მკაფიო მითითებას ებრაელთა ცოდვასა და დანაშაულზე ღვთისმშობლის წინაშე. არსებობს წერილობითი წყაროები, რომლებიც მოგვითხრობენ ებრაელთა მიერ ქრისტიანთა გაძევების შესახებ კონკრეტული საცხოვრებელი ადგილიდან და ხშირ შემთხვევაში ამბავს ფატალური დასასრული აქვს, რაც იმას გულისხმობს, რომ ზოგიერთ ქრისტიანს სიკვდილით სჯიდნენ. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ღვთისმშობლისადმი

დიდი სიყვარული გვინ შუასაუკუნეებში ებრაელთა მხრიდან აგრესიას იწვევდა და ძალადობაში გადაიზარდა. ჯეფრი ჩოსერის მოთხრობების კრებულში „კენტერბერიული მოთხრობები“ ვხვდებით ერთ-ერთ ნაწარმოებს, რომელშიც აღწერილია პატარა ქრისტიანი ბიჭის ამბავი. იგი ებრაელმა მოკლა მხოლოდ იმიტომ, რომ მღეროდა წმინდა მარიამისადმი მიძღვნილ ჰიმნს [რუბინი 2004 : 10-11]. თუმცა, რა თქმა უნდა, ასეთი ფანატიზმით მხოლოდ გარკვეული რეაქციული წრეები გამოირჩეოდნენ.

მარიამის კულტის გარდასახვა ხშირად მოიცავდა ცოდნისა და ინფორმაციის სისტემურ დალაგებას, რის გამოც ღვთისმშობელი გაიგივდა ბუნების ცოდნასთან იმის გათვალისწინებით, რომ ის თავად არის მშობელი მასში არსებულისა, ამ შემთხვევაში ღვთის ძისა [რუბინი 2004 : 14]. დანტესა და ლუთერის მოღვაწეობის პერიოდებს შორის ევროპული ინსტიტუციების მიერ მოხდა ბევრი დილემის განსაზღვრა და პროგრამების ხელახალი გაანალიზება: ვინ იყო ნამდვილი პაპი? როგორ უნდა დაძლეულიყო თურქული საფრთხე? როგორ უნდა გაერთიანებულიყო აღმოსავლეთი და დასავლეთი? როგორ ერგებოდნენ ებრაელები ევროპულ გაერთიანებებს? რა ფორმით უნდა არსებულიყო ქრისტიანული ოჯახი? როგორ უნდა წაკითხულიყო ბიბლია? რომელ ენაზე და ვის მიერ? [რუბინი 2004 : 14] ეს საკითხები განიხილებოდა პალატების საბჭოებში, ეროვნულ და ადგილობრივ საპარლამენტო სხდომებზე, უნივერსიტეტებში, ეკლესიათა საბჭოებში, სკოლის კედლებში. ყველა ამ მსჯელობათა ცენტრალური ფიგურანტია წმინდა მარიამი (რეფორმის ინდოსირება, ინკვიზიციისა და გაძევების, ძალადობის სანქცირება) [რუბინი 2004 : 14]. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შუა საუკუნეების კულტურას ლეიტმოტივად გასდევს მარიამის სახე [რუბინი 2004 : 15-16].

ქრისტიანული ტრადიციები აღმოსავლეთში და დასავლეთში განსხვავდება ერთმანეთისაგან, განსხვავებულია თეოლოგია და ღვთისმსახურება და ეს განსხვავებები დაკავშირებულია წმინდა ქალწულის კულტთანაც. აღმოსავლურ ტრადიციაში ძლიერია ღვთისმშობლის კულტი, თუმცა საოცარია ის ფაქტი, რომ ყოველივე ამას ნაკლებად განსაზღვრავს მარიოლოგიური სწავლებანი და მცირეა მეცნიერულ-თეოლოგიური

მიდგომების გავლენა ტრადიციებზე. შეიძლება ითქვას, რომ მარიოლოგიური ტრადიცია აღმოსავლეთ საქრისტიანოში ერთგვარი ნაზავია რომაულ ტრადიციასთან იმ განსხვავებით, რომ მასში არ განიხილება მარიამის როლი გადარჩენის საქმეში. გარდა ამისა, ღვთისმშობლის თაყვანისცემა არ არის სიტემატურად შესწავლილი და გამოკვლეული. შეიძლება ითქვას, რომ მარიამთან დაკავშირებული ფორმალური თეოლოგიური მასალის სიმცირემ და არარსებობამ აღმოსავლეთში ერთგვარად განსაზღვრა მარიამის კულტის პოპულარობა და მისი თაყვანისცემა იმგვარად, რომ აღმოსავლური ეკლესია თითქმის არ აღავლენს ლოცვას იესოს მიმართ მარიამთან მიმართების გარშე. აღმოსავლური თეოლოგია ინტეგრირებულია რწმენასთან და, შესაბამისად, მარიოლოგია გულისხმობს ყველა იმ სასწაულის უპირობოდ აღიარებას, რომელიც წმინდანს უკავშირდება. ასევე ამ უკანასკნელის ჭეშმარიტი ადგილი და კვლევის საგანი გახლავთ ლიტურგია და თვითონ მლოცველი („ვლოცულობთ იმაზე, რისიც გვწამს“). შეიძლება ითქვას, რომ მარიოლოგია აღმოსავლეთში ლიტურგიკიდან განვითარდა. აღმოსავლური კულტურული მემკვიდრეობის მიხედვით, ლიტურგიკა არის ის, რაც პირდაპირ კავშირშია მარიოლოგიასთან, რაც იმას გულისხმობს, რომ მასში მოცემული მთელი რიგი ალევორიული ფრაზები და სიმბოლოები, რომლებიც ღვთისმშობელს მიემართება, კვლევისა და მსჯელობის საგანს წარმოადგენს. არის შემთხვევები, როდესაც მეცნიერები ლიტურგიაში ასახულ მოვლენებსა თუ სახელებს ბიბლიაში ეძებენ და ცდილობენ მათი ჭეშმარიტების დასაბუთებას. თუმცა ყველა ალევორია თუ დღესასწაული, რომელიც წმინდა ქალწულს უკავშირდება, თვითონაა მტკიცებულება [სამაჰა 2013 : 1].

ლიტურგიას და ღვთისმსახურებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აღმოსავლურ ეკლესიაში. ლიტურგია არ წარმოადგენს საზოგადოებრივ ქმედებას, არამედ ის არის პროცესი ესქატოლოგიურ რეალობაში შესასვლელად და შეხვედრის ადგილი ორი სამყაროსათვის. რაც შეეხება ღვთისმსახურებას, ის არ წარმოადგენს მხოლოდ და

მხოლოდ წარსულის ხსოვნას, არამედ თვითონ მონაწილეობს სამყაროს გადარჩენაში [სამაჰა 2013 : 1].

საბოლოოდ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც ძლიერია წმინდა ქალწულის კულტი, თუმცა აღმოსავლეთის საქრისტიანოში მარიოლოგია დაკავშირებულია ლიტურგიკასთან, დასავლეთისგან განსხვავებით, რომელიც განსხვავებულ ხერხს გვთავაზობს ღვთისმშობლის თაყვანისცემაში, იგი გამოყოფს პრივილეგიებს და ხშირად ბიძგს აძლევს სხვადასხვა რელიგიური მოძრაობის ჩამოყალიბებას [სამაჰა 2013 : 1].

## თავი I. მარიოლოგია ასირიული ტრადიციის მიხედვით

აღმოსავლეთის ასურული ეკლესია განსაკუთრებულ პატივს მიაგებს ღვთისმშობელს და მასთან დაკავშირებული დღესასწაულებიც განსხვავებულია დანარჩენი საქრისტიანოსაგან. წელიწადში სამჯერ აღინიშნება წმინდა ქალწულის ხსოვნისადმი მიძღვნილი დღესასწაულები. მათგან პირველი გახლავთ შობის შემდგომ მეორე პარასკევი, რომელიც მე-5 საუკუნიდან გვხვდება საეკლესიო კალენდარში მას შემდეგ, რაც შობა გამოცხადდა ოფიციალურ დღესასწაულად (საუბარია მე-13 კანონზე, რომელიც 410 წლით თარიღდება). ამ დროს მომლოცველნი პატივს მიაგებენ წმინდა მარიამს და მადლობას სწირავენ უფალი იესოს ამქვეყნად მოვლინებისათვის. მეორე საზეიმო ცერემონია გახლავთ 15 მაისს. ამ შემთხვევაში მომლოცველნი ევედრებიან წმინდა ქალწულს, რომ უშუამდგომლოს უფალთან და მათი მოსავლის ნაყოფიერება სთხოვოს. და ბოლოს, 15 აგვისტოს აღინიშნება მიძინება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა, რომელსაც წინ უსწრებს ორკვირიანი მარხვა. ზოგადად, წმინდა ქალწულის დღედ არის მიჩნეული ყოველი კვირის ოთხშაბათი და მას ეთაყვანებიან

როგორც უფალი იესოს დედას. იგი მოიხენიება, როგორც დედა კაცობრიობისა და სულიწმინდის ტაძარი [თომა 2018 : 1-2].

რაც შეეხება მარიოლოგიას, იგი მეორე საუკუნეში ჩამოყალიბდა პატრისტიკულ ეპოქაში და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გააზრებულია, როგორც ქრისტოლოგია, სოტერიოლოგია, ანთროპოლოგია და ესქატოლოგია. დასავლური ტრადიციისაგან განსხვავებით, ეკლესიის მამები თავიანთ თეოლოგიურ მიდგომებს გადმოსცემენ ყოველგვარი დოგმატური ფორმულებისა თუ სისტემური თეოლოგიური პრინციპების გამოყენების გარეშე. სანაცვლოდ, ისინი ეყრდობიან რწმენას და, როგორც წმინდა ეფრემი აღნიშნავს, სწამთ ამოუხსნელისა და განუზომელის სიყვარულისა. ამგვარად, მათი ნამუშევრები მოგვაგონებს პოეტურ ნაწარმოებებს, რომლებიც სავსეა მეტაფორებითა და სიმბოლოებით. განსაკუთრებულად ლამაზი და ნაზია ღვთისმშობლის მიმართ გამოყენებული შედარებები, მეტად წარმოსახვითი და დრამატული [თომა 2018 : 2].

აღმოსავლური მარიოლოგიის შესწავლა გულისხმობს ტიპოლოგიურ მიდგომას წმინდა წერილის მიმართ. ეს არის დამოკიდებულება, რომელიც მყარდება ძველი აღთქმის (ტიპი) და ახალი აღთქმის (ანტიტიპი) რეალობებს შორის, სადაც პირველი წარმოგვიდგება ისტორიაში ღვთის ქმედების ყველა დამახასიათებელი და მუდმივი თვისების გამომხატველად (და, მაშასადამე, წინასწარმეტყველური ხასიათისა), მეორე კი პირველის მიერ აღნიშნულის გარდაუვალი განხორციელებაა. მაგალითად, ჰავლესათვის ადამი ქრისტეს სახეა (რომ. 5:14), ისევე, როგორც ღვთის ხალხია ძველ აღთქმაში ეკლესიის სახე (1 კორ. 10:6). მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ეფრემ ასურის სტყვები, რომ უზენაესის სახე გამოვლინდა ეგვიპტეში, რეალობა კი ეკლესიაში. რაც შეეხება ჯილდოს მიცემას, ეს მოხდება სამეფოში ანუ სასუფეველში. როგორც ვხედავთ, ასურელ მამასთან სათქმელის სიმბოლოებით გადმოცემა მეტად მნიშვნელოვანი და პროგრესულია. ეფრემი იყენებს კონტრასტულ სიტყვებსა და ფრაზებს, მაგალითად, წმინდა ქალწული შედარებულია არა მხოლოდ ევასთან, არამედ ქმნილი სამყაროს სხვა ქმნილებებთან, როგორცაა ადამი, ხე და დედამიწა [თომა 2018 : 2-3].

ყოველდღიურად ქალწულობა მარიამისა მნიშვნელოვანი საკითხია სამოციქულო ეკლესიისათვის იმდენად, რამდენადაც დაკავშირებულია უფალი იესო ქრისტეს განკაცებასთან ყოველგვარი ადამიანური ქმედების გარეშე. იგი მოველინა ამ ქვეყანას წმინდა ქალწულის საშოდან სულიწმინდის ძალით. წმინდა მამის, ეფრემის, განმარტებით, წმინდა მარიამი გამორჩეული ადამიანია კაცობრიობის ისტორიაში იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს უამრავი წინასწარმეტყველება და სიმბოლო, რომელიც მას მიემართება და ერთგვარ ბუნდოვანებას მატებს კონცეფციას მის შესახებ [თომა 2018 : 3].

გევარგის ვარდას მიხედვით (Gewargis Warda), ებრაელი წინასწარმეტყველის სიტყვები „სასახლის კარიბჭე“ გახლავთ სიმბოლო ქალწული მარიამისა. ის არის აღმოსავლეთის კარიბჭე უზენაესისა, რომელსაც ვერ შეეხება მატერიალური, მხოლოდ და მხოლოდ უფალს ძალუძს მასში შესვლა და გამოსვლა. ებრაელი ღვთისმშობლის ქალწულობას ადარებს გაუტყველ კლდეს, რომლისგანაც გადმოედინება წყარო. ეს არის მითითება ეგვიპტიდან გამოსვლის ამბავზე, როდესაც მოსემ გაუბზარავი კლდიდან მასზე კვერთხის შეხებით გადმოიყვანა წყალი ისევე, როგორც მარიამმა იესოს შობით დასაბამი მისცა სიცოცხლის შადრევანს [თომა 2018 : 3].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკლესიის მამები წმინდა ქალწულის კონცეფციას სიმბოლოებით გამოხატავენ. ქვემოთ განვიხილავთ რამდენიმე მათგანს.

- აარონის აყვავებული კვერთხი ძველი აღთქმიდან მოიაზრება წმინდა ქალწულის სიმბოლოდ, რომელმაც შვა უფალი იესო ქრისტე.
- გედეონის მშრალი საწმისი სიმბოლოა ღვთისმშობლისა. მაშინ, როდესაც ცვარმა დაფარა მიწა, საწმისი მშრალი დარჩა, როგოც მარიამი დარჩა მარად ქალწული.
- აღმოსავლურ ტრადიციაში წმინდა ქალწული არის სიმბოლო ნაყოფიერებისა. იგი შედარებულია არა მარტო ევასთან, არამედ მიწასთან იმდენად, რამდენადაც ამ უკანასკნელისგან იშვა ადამი – ამ ქვეყნიერების პატრონი, ანუ მიწამ შვა ადამი ისევე,

როგორც წმინდა ქალწულმა – იესო ქრისტე, სამოთხის მეფე და მბრძანებელი. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, მიწამ შვა კაცი უზენაესის ჩარევით ისევე, როგორც ქალწულმა მარიამმა [თომა 2018 : 4].

მარიამი მოხსენიებულია, როგორც მეორე ევა. ტრადიციის მიხედვით, ევა შეიქმნა ადამის დასახმარებლად და, თუ ადამი არის უფალი იესოს სახე და სიმბოლო, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ევაც არის მარიამის სიმბოლო, რომელიც ცდილობს თავისი შვილის დაცვასა და დახმარებას, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ევა არ დაემორჩილა უფლის ნებას, მიჰყვა დაცემული ანგელოზის რჩევას და ცოდვაში ჩააგდო ადამი მაშინ, როდესაც მარიამმა ისმინა ანგელოზის ნათქვამი და საკუთარ სხეულში გამოზარდა ახალი ადამი, უფალი ჩვენი იესო [თომა 2018: 4].

წმინდა მამების ნაწარმოებებში მოცემულია მთელი რიგი განსხვავებები, რომლებიც მარიამსა და ევას შორის შეიძლება ვიპოვოთ. ისინი იყენებენ ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნებებსა და სიტყვებს, რათა მკითხველს დაანახონ მათ შორის სხვაობა. თუ ღვთისმშობელი შედარებულია სინათლესა და სიცოცხლესთან, ევა არის სიბნელისა და სიკვდილის სინონიმი. მარიამმა შვა ძე კაცისა, რომელმაც სიკეთე მოუტანა ადამიანთა მოდგმას, ხოლო ევამ შვა ძმის მკვლელი კაცი. ეფრემ ასურის მარიოლოგია გულისხმობს წმინდა ქალწულის შედარებას ადამთან იმ ტიპოლოგიური სხვაობით, რომ ადამმა შვა ევა, რომელმაც კაცობრიობა ცოდვაში ჩააგდო მაშინ, როდესაც მარიამის ნაყოფმა თავი განირა ადამიანთა ცოდვათა გამოსასყიდად [თომა 2018 : 5]. მარიამი არის ევას პროტოტიპი იქამდე, სანამ ევა ემორჩილებოდა უფლის ნებას, ხოლო ღვთისმშობელი გახდა ევას ანტიპოდი მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა არ ინდომა ღვთის სიტყვის მორჩილება და ცოდვაში ჩააგდო ადამი [თომა 2018 : 6].

აღმოსავლურ მარიოლოგიაში ხშირად ვხვდებით წმინდა ქალწულის შედარებას სიცოცხლის ხესთან იმდენად, რამდენადაც მარიამის მიერ შობილმა იესომ სიკეთე ქმნა ადამის მოდგმისათვის. ასევე, იგი არის პატარძალი იესო ქრისტესი, მეორე სამოთხე, ნოეს კიდობანი, ეკლესია და დედა ეკლესიისა [თომა 2018 : 7-11].

საბოლოოდ შეგვიძლია დავსაკვნათ, რომ ეკლესიის მამები საოცარი ექსპრესიულობით, პოეტური ხერხებითა და სიმბოლოებით გადმოგვცემენ ცნობებს მარიამის შესახებ. ისინი დიდ პატივს მიაგებენ წმინდა ქალწულს და ამავე დროს ახერხებენ, რომ აღიღონ მისი პირმშო უფალი იესო ქრისტე. ტიპოლოგიური კვლევანი მათი ნაშრომებისა თუ კვლევების განუყოფელი ნაწილია. შედარებებისა და ანალოგიების საფუძველზე შესანიშნავად ახერხებენ მკითხველს დაანახონ ის მნიშვნელოვანი ადგილი, რომელიც წმინდა ქალწულს უკავია ქრისტიანობის ისტორიაში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დიდია ასირიოლოგების დამსახურება მარიოლოგიურ კვლევაში. მათ მიერ შესრულებული თარგმანები სირიული ენიდან მნიშვნელოვან მასალას გვაძლევს ღვთისმშობლის კულტის კვლევის საქმეში [თომა 2018 : 11].

## თავი II. მარიამი, როგორც შუამავალი ადამიანსა და უზენაესს შორის

როგორც უკვე აღვნიშნეთ, უძველესი აღმოსავლური მარიოლოგიური ტექსტების ძირითად თემას წარმოადგენს მარიამის თავმდაბლობა, მისი უსიტყვო მორჩილება უფლის წინაშე და ღვთისმშობლობა განკაცებული უფლისა დედამინაზე – უდიდესი როლი, რომელიც მას მიანიჭა ქრისტიანობამ კაცობრიობის წინაშე. იგი მოხსენიებულია, როგორც შუამავალი უფალსა და ადამიანს შორის.

რწმენა იმისა, რომ ღვთისმშობელი არის შუამავალი კაცობრიობასა და უზენაესს შორის, განუყოფელი ნაწილია აღმოსავლური ქრისტიანული სამყაროსათვის. საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა ღვთისმშობლის კულტი, რომელიც მუდმივად განიხილავს მარიამს სულიერებისა და სიწმინდის კუთხით. ამას ადასტურებს საეკლესიო ტრადიცია. უნდა აღვნიშნოთ, რომ მარიოლოგიის განვითარების ადრეულ ეტაპზე არ არის გამახვილებული ყურადღება მარიამის, როგორც შუამავლის, როლზე. აქცენტი გაკეთებულია იმაზე, რომ ის არის იესოს დედა, დიდი წინასწარმეტყველი, ყოვლადწმინდა



ქალწული და ქალი, რომელიც სოლიდარობას უცხადებს ყველა დანარჩენ ქალს მსოფლიოში. მიუხედავად იმისა, რომ საეკლესიო წიგნების ავტორნი ცალსახად არ საუბრობენ მარიამის, როგორც შუამავლის, როლზე, ტექსტი იძლევა იმის საშუალებას, რომ მკითხველი თვითონ მივიდეს ამ დასკვნამდე. სირიულ ტექსტებში ღვთისმშობელი შედარებულია დანიელ წინასწარმეტყველთან. ღვთისმშობლის მორჩილებამ უფლის სიტყვის მიმართ, მისმა გულმხურვალე ლოცვამ და მარხვამ უშუამდგომლა კაცობრიობას უზენაესთან ისევე, როგორც წინასწარმეტყველის მარხვამ – ებრაელთა ტომს უფალთან ბაბილონის ტყვეობისას [პელტომა 2015 : 154-155].

მეცნიერებისა თუ მკვლევარების განხილვის ძირითად თემას წარმოადგენს ის, თუ რამდენად ადასტურებს აღმოსავლური საეკლესიო წყაროები და ეკლესიის მამების ნაშრომები მარიამის მნიშვნელოვნებას, როგორც შუამავლისას კაცობრიობასა და განუსაზღვრელს შორის. გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში გამოიყვა ეფრემ ასურის ნაშრომების კრებულთა თარგმანები ინგლისურად ედმუნდ ბეკის, თომას ლემისა და ორტის დე ურბუნას ავტორობით. მათ მიერ შესრულებულ თარგმანებში არ არის კონკრეტული მინიშნება მარიამის, როგორც შუამავლის, როლზე. შესაბამისად, ეჭვქვეშ დადგა მათი თარგმანებისა და მათი ავტორების მიერ გამოყენებული პირველწყაროს ავთენტურობა იმის გათვალისწინებით, რომ აღმოსავლური ტრადიცია და ზოგადად მარიოლოგია აღიარებს წმინდა ქალწულს, როგორც შუამავალს. ეფრემ ასურისა თუ სხვა ეკლესიის მამების მიერ შესრულებული ჰიმნები და პოეტური ნაშრომები დედა ღვთისმშობელს მიიჩნევენ ადამიანად, რომელმაც დაამყარა კონტაქტი მორწმუნეებსა და თავის პირმშოს შორის. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ მარიამის სახელზე შექმნილი ჰიმნთა კრებული და მათგან ერთ-ერთი #7. ავტორი მრავალჯერ აღნიშნავს, რომ მარიამი არის ის, რომელმაც მოავლინა უფალი იესო, რომელიც თავისთავად „აპურებს გაჭირვებულთ“ და „კვებავს“ მათ. თუმცა მლოცველს ძალუძს პირდაპირი კავშირი დაამყაროს უფალთან შუამავლის გარეშე და ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ნაწყვეტი მარიამისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი ჰიმნიდან:

„გმადლობ შენ, ძეო ღვთისაო, რომელმაც ღირს მყავ მე შენი შობის ამბის თხრობად; შემინყალე და მომიტევე ჩემი ნაკლოვანებები;

მომეც მე, უფალო, მადლობისყოფად შენდა და ქებად შენდა;

რადგანაც შენგან მომადლებულია ჩემ მიერ ქების შესხმა;

შენი შობით მოგვიტევე ნაკლულევანებანი ჩვენნი და, დაე, გულმონყალეებამან შენმან განკურნოს წყლულებანი ჩვენნი.

მშვიდობა შენი, უფალო, მეფობდეს შენს ხალხსა და შენს ეკლესიაზე;

და გაქებთ შენ, უფალო, შენდა მიმართ დღესასწაულზე,

ო, უბრწყინვალესო ძეო!“ [პელტომა 2015 : 155-156]

თუ ეკლესიის პირველი მამების ნაშრომები ეძღვნება მარიამს, როგორც შუამავალს უზენაესსა და ადამიანს შორის, განსხვავებული სიტუაცია გვაქვს მე-4 და მე-6 საუკუნეების ტექსტებში. აღნიშნული პერიოდის ავტორები ნაკლებად ინტერესდებიან მარიამის, როგორც შუამავლის, როლით, ისინი მასში ხედავენ მეორე ევას და მედიატორს, რომელმაც გამოკვება განკაცებული უფალი.

მე-6 საუკუნეს განეკუთვნება სირიული ხელნაწერი BM Add. 14 591, რომელიც მოიცავს სამ ჰომილიას, ორ პოემასა და ერთ ჰიმნს. 1873 წელს გუსტავ ბიკელმა გამოსცა ხელნაწერის კოლექცია. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ნაწარმოების ავტორია კირილონა, რომელსაც აიგივებენ ეფრემ ასურის ძმისშვილთან, აბსამიასთან. ხელნაწერში არ არის განვრცობილი აზრი მარიამის, როგორც შუამავლის, როლთან დაკავშირებით. ძირითადად ავტორი განიხილავს საკითხს, თუ როგორ იქნა აღქმული და გააზრებული მარიამის, როგორც მედიატორის, როლი [პელტომა 2015 : 156-157].

ხელნაწერის მეორე პოემაში მოცემულია მარიამისა და ევას ანტაგონისტური ურთიერთმიმართება. ავტორი ევას მიიჩნევს კაცობრიობისათვის სიბნელისა და

მწუხარების მომტანად და აქვე აღნიშნავს ღვთისმშობლის ღვანლს, რომელმაც შეძლო ევას დანაშაულის გამოსყიდვა უფლის წინაშე. ღვთისმშობელმა შეძლო და ახალი ცხოვრება და მომავალი შეუქმნა მომავალ თაობას და იგი გახდა შუამავალი მათსა და თავის პირმშოს შორის [პელტომა 2015 : 157].

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მე-4 და მე-6 საუკუნეებში მოღვაწე ეკლესიის მამები არ განავრცობენ თემას მარიამის, როგორც შუამავლის, შესახებ, თუმცა ისინი გარკვეულ გავლენას განიცდიან ეფრემისეული ტექსტებიდან და არაპირდაპირი გზით მიუთითებენ, რომ წმინდა ქალწული ჭეშმარიტად არის შუამავალი ადამიანსა და უზენაესს შორის [პელტომა 2015 : 158].

სირიული საეკლესიო პოეზია მოიცავს პოემათა მოკლე კრებულს, რომლის ავტორია მე-5 საუკუნის ერთ-ერთი წმინდანი ბალაი. სამწუხაროდ, ძალიან ცოტა რამაა მისი ცხოვრების შესახებ ცნობილი, თუმცა ვიცით, რომ იგი ედესაში ცხოვრობდა და მოგვინებით გადავიდა ქინასრინში, სადაც ბერად აღიკვეცა კიდევ. იქიდან გამომდინარე, რომ ბალაისა და ეფრემ ასურის წერის სტილი ძალიან ჰგავს ერთმანეთს, ხშირად ძნელია მათი ნაშრომების ერთმანეთისგან გარჩევა [პელტომა 2015 : 158].

1902 წელს სემიტოლოგმა კარლ ვილჰელმ ზეტერსტენმა გამოსცა ბალაის პოეტურ კრებულთაგან ორი ლექსი. მათგან პირველში საუბარია იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია წმინდა მარიამის დღესასწაულის აღნიშვნა ეკლესიის მიერ, თუმცა ავტორი კონკრეტულად არ ასახელებს თვესა და რიცხვს, თუ როდის უნდა აღინიშნოს ღვთისმშობლის დღესასწაული. თუმცა ნაწარმოების მნიშვნელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ, ავტორის აზრით, მლოცველნი მიიღებენ წყალობას წმინდა მარიამის შეწევნითა და შუამავლობით უფლისაგან. მეორე ნაწარმოებში ავტორი მოიხსენიებს ქალს, რომელსაც პატივცემულს უწოდებს. მიუხედავად იმისა, რომ ბალაი კონკრეტულად არ ასახელებს, თუ ვის მოიაზრებს აღნიშნულ ფრაზაში, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული წინადადება წმინდა მარიამს ეკუთვნის, იმის გათვალისწინებით, რომ იმავე ტექსტში ავტორი აღნიშნავს, რომ უფალმა შეარჩია მარიამი თაობათა შორის [პელტომა 2015 : 158].

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოცემული ნაწარმოებნი ბალაის ავტორობით და საზოგადოების ის ნაწილი, რომლისთვისაც კონკრეტულად ეს კრებული შეიქმნა, მიიჩნევს, რომ სიცოცხლის მომნიჭებელი მადლის მიღება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ წმინდა ქალწულის შუამდგომლობითა და ლოცვით. ბალაი თავის ნაწარმოებში აღნიშნავს, რომ უფალი უსმენს ღვთისმშობელს და იგი მზადაა მიანიჭოს ის, რასაც შესთხოვს მას („დედაო ჩვენი უფლისა, ნამდვილად ხარ იმედი ჩვენი, რადგან შენი ულამაზესი პირმშო ყოველთვის სიამონებით გისმენს შენ“). მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ნაწყვეტი ბალაის ოცდამეშვიდე პოემიდან. ავტორი ქებას უძღვნის ღვთისმშობელს და კიდევ ერთხელ ახსენებს იმ განუსაზღვრელ ძალასა და მადლს, რომელიც მას აქვს, როგორც შუამავალს უფალსა და ადამიანს, ამ შემთხვევაში კი მლოცველს შორის [პელტომა 2015 : 159].

„მშვიდობა შენდა, ნუგეშისმცემელო ჩვენო,

მშვიდობა შენდა, დიდებო ჩვენო,

რამეთუ შენით ერი ჩვენი ამაღლდა ზეცად,

გვიშუამდგომლე ღმერთთან, რომელიც შენგან იშვა,

რათა სუფევდეს მის ტაძარში განსვენება და უშფოთველობა,

შენის ლოცვის ძალით, განდიდებულისა დედაო,

მიეცეს მეტად განსვენება ქვეყანასა ამას და მკვიდრთა მისთა“.

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ მეხუთე საუკუნის სირიულ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში ხშირად ვხვდებით ინფორმაციას შუამავლის შესახებ და არის შემთხვევები, როდესაც ტექსტები ეძღვნება არა ღვთისმშობელს, არამედ გამორჩეულ პიროვნებასა თუ ადამიანს იმ კონკრეტული საზოგადოებისათვის. მაგალითად, ედესის ეპისკოპოსი რაბულას ბიოგრაფია, რომელშიც აღნიშნულია მისი ღვანლი და დამსახურება ეკლესიის წინაშე და

ასევე ხშირად იხსენიება იგი, როგორც შუამავალი ადამიანსა და უფალს შორის [პელტომა 2015 : 159-160].

იშვიათია ტექსტები, რომლებიც მკაფიოდ და კონკრეტულად მიაჩვენებენ წმინდა ქალწულის, როგორც შუამავლის, როლზე და ასევე მოგვითხრობენ მისი მინიერი ცხოვრების უკანასკნელი დღეების შესახებ, თუმცა, ამ მხრივ, გამორჩეულია სირიელი თეოლოგისა და პოეტის იაკობ სერუგელის (450 – 521 წწ.) შემოქმედება. იგი მკაფიოდ და კონკრეტულად მიაჩვენებს მკითხველს ღვთისმშობლის, როგორც შუამავლის, როლზე და დამსახურებაზე, ასევე მოგვითხრობს მარიამის გარდაცვალებაზე და დაკრძალვაზე, თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პოემის ბოლოს იგი მიმართავს ძე ღვთისას და ასევე შესთხოვს ღვთისმშობელს, რომ შემწე ეყოს მის თხოვნას უფალ იესო ქრისტესთან. იაკობი თავის ერთ-ერთ ნაწარმოებში აღნიშნავს, რომ ძე ღვთისა არის სიტყვა და წერილი მარიამისა, რომლის შემწეობითაც გამყარდა ურთიერთობები კაცობრიობასა და განუსაზღვრელს შორის და რომლის საშუალებითაც მოევლინა კაცობრიობას მხსნელი უფალი იესო. წმინდა ქალწულის მეშვეობით აღდგა კავშირი ორ, ზეციურ და მიწიერ, სამყაროს შორის [პელტომა 2015 : 160-161].

### თავი III. ისტორიული ცნობები ღვთისმშობლის შესახებ

როდესაც განვიხილავთ ღვთისმშობლის კულტს ახლო აღმოსავლეთში, აუცილებლად უნდა ვახსენოთ „წიგნი მარიამისა“ (ასევე მოხსენიებულია სათაურით „ცხოვრება მარიამისა“), რომელიც გვანვდის ინფორმაციას ღვთისმშობლის ბავშვობის, ფეხმძიმობისა და მისი უკანასკნელი დღეებისა და ზეცად ამაღლების შესახებ. იგი ახალი აღთქმის აპოკრიფად მიიჩნევა, თუმცა მოიცავს ჰაგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული და ჰომილეტიკური ნაწარმოებების ელემენტებსაც. მკვლევარების მიხედვით, ტექსტი მთლიანად სირიულ ვერსიას ემყარება, გარდა ინფორმაციისა მარიამის გარდაცვალების შესახებ. ბოლო დროს ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ მოცემული

ინფორმაცია ემყარება ებრაულ, ბერძნულ და ლათინურ ენებზე შესრულებულ ორიგინალებს. ამას ისიც ადასტურებს, რომ არსებობს ბერძნულ ენაზე შესრულებული ნაწარმოები მარიამის ამქვეყნიური ცხოვრებიდან გასვლის შესახებ. „წიგნი მარიამისა“ 6 ნაწილისაგან შედგება. იგი ადრეული სირიული ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლია [პელტომა 2015 : 163].

არსებობს ვარაუდი იმის შესახებ, რომ აღნიშნულმა ხელნაწერმა გარკვეული გავლენა მოახდინა იაკობ სერუგელის ნაწარმოებებზე. განსაკუთრებით ჰგავს ერთმანეთს მე-4 წიგნის შინაარსი და იაკობის შეხედულებები მარიამის, როგორც შუამავლის, შესახებ [პელტომა 2015 : 163-164].

წმინდა ქალწულის შესახებ პირველად ცნობებს ვხვდებით ახალ აღთქმაში, თუმცა ცნობები იმდენად მწირია, რომ გვიჭირს თანმიმდევრულად დავალაგოთ მისი ბიოგრაფია და ცხოვრებისეული დეტალები. თუ გავითვალისწინებთ ყველა იმ სახელს (წმინდა დედა, მეორე ევა, ყოვლადწმინდა ქალწული), რომელიც ღვთისმშობელს დაუკავშირა ქრისტიანობამ, შეგვიძლია დავასკვნათ, თუ რაოდენ დიდია მისი დამსახურება ქრისტიანობის ისტორიაში. იგი გახდა გამორჩეული და კაცობრიობისათვის მისაბაძი ადამიანი მას შემდეგ, რაც არჩეულ იქნა დედა ღვთისად. წმინდა ქალწული პირველად სახარებაში იხსენიება. ახალი აღთქმიდან ვიგებთ, რომ იგი ნაზარეთში ცხოვრობდა და დანიშნული იყო იოსებზე, ხოლო მისი გამოჩენის ბოლო ეპიზოდია მენელსაცხებლედ დედებთან ერთად იესოს საფლავის მონახულება. ღვთისმშობელი ჩნდება შემდეგ ეპიზოდებში: ხარება, იოანე ნათლისმცემლის დედასთან, ელისაბედთან, სტუმრობა (ლუკა 1:39), შობა ისეო ქრისტესი და მისი ტაძრად მიყვანება (ლუკა 2:1), დევნილობა ეგვიპტეში (მათე 2:1), თორმეტი წლის იესოს სტუმრობა იერუსალიმში პასეფის დღესასწაულზე (ლუკა 2:41), კანას ქორწილი (იოანე 2:1), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ქალწულის სახელი არ იხსენიება; ასევე, მცდელობა ღვთისმშობლისა, რომ ნახოს იესო ქადაგების განმავლობაში (მარკოზი 3:31) და ბოლოს, ჯვარცმის ეპიზოდი (იოანე 19:26) [პელიკანი 2019 : 1, კოლუმბიის ენციკლოპედია : 2].

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ეპიზოდი გარკვეულ ინფორმაციას იძლევა წმინდანის შესახებ, თუმცა თეოლოგების მიერ გადმოცემული ცნობები ღვთისმშობელზე ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა. ერთ–ერთი უპირველესი წყარო, რომელიც წმინდა მარიაზე საუბრობს, გახლავთ გალატელთა მიმართ ეპისტოლე. მასში ვხვდებით ფრაზას: „და იშვა ქალი“, შესაძლოა, რომ ამ ფრაზაში საუბარი იყოს მარიაზე, როგორც განსაკუთრებულ და გამორჩეულ ადამიანზე. აღნიშნული სტატუსი მარიამისა კიდევ ერთხელ ადასტურებს ქრისტეს ორბუნებიანობას, რომ იგი იყო განკაცებული ძე ღვთისა გამორჩეული და განსაკუთრებული ადამიანის, ქალწული მარიამის, მიერ ნაშობი. უძველეს სამყაროში არსებული მიდგომით, თუ ერთ–ერთი მშობელი ადამიანი იყო და არა ღმერთი ან ქალღმერთი, ითვლებოდა, რომ მათი შვილი ღვთაებრივ ბუნებასთან ერთად ადამიანურ ბუნებასაც ატარებდა [პელიკანი 2019 : 1].

დედობა ღმერთკაცისა არის მარიამის უძლიერესი და განსაკუთრებული სტატუსი, რომელიც მას აქვს მინიჭებული ღვთისმსახუებასა და დოგმატიკაში. უფრო მეტ ინფორმაციას ღვთისმშობლის შესახებ ვხვდებით მათესა და ლუკას სახარებაში. ორივე მოციქული ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ისეო ქრისტე, ღვთის ძე, იშვა ადამიანური ბუნების მატარებელი მარიამისაგან [პელიკანი 2019 : 1, კოლუმბიის ენციკლოპედია : 3].

როდესაც ვსაუბრობთ წმინდა ქალწულის, როგორც ადამიანის, მნიშვნელოვნებაზე ქრისტიანობაში, აუცილებლად უნდა ვახსენოთ მისი უმთავრესი ტიტული „თეოტოკოს“ (Theotokos). სახელი გავრცელებულია აღმოსავლეთ საქრისტიანოში და სიტყვასიტყვით ნიშნავს „ღვთის დედას“, ან „ღვთისმშობელს“. სახელი აქტიურად გამოიყენებოდა სირიულ ტრადიციაში მესამე საუკუნიდან და ხაზს უსვამს ღვთისმშობლის, როგორც ადამიანის, როლს ქრისტიანულ ტრადიციაში და კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იესოს ორბუნებიანობაზე. ამავე სახელით მოიხსენიება ღვთისმშობლის ხატი ხელში ყრმა იესოთი (მადონა დასავლეთ ტრადიციაში). აბსოლუტურის და უზენაესის გამოხატულებაა დედა ღვთისმშობელი ისევე, როგორც მთვარე – დღის განმავლობაში მოკაშკაშე მზისა. მარიოლოგია, რომელიც შეისწავლის ღვთისმშობლის პერსონას, პირდაპირ უკავშირდება

ქრისტოლოგიას და ორივე ერთად მოიაზრებს სწავლებას ქრისტეს ორბუნებიანობის შესახებ. აქედან გამომდინარე, შვეიცრია ვთქვათ, თუ რაოდენ დიდია ქალწულის როლი ქრისტიანობაში [პელიკანი 2019 : 1].

#### თავი IV. წმინდა მარიამი კოპტურ ტრადიციაში

კოპტები არიან ეგვიპტელი ქრისტიანები. თვითონ სიტყვა „კოპტი“ მომდინარეობს უძველესი სიტყვიდან „ჰიკაპტაჰ“, რომელიც თავისთავად ნიშნავს რას სახლს ან პტაჰის სულს, ტაძარს ერთ-ერთი ეგვიპტური დიდებული ღმერთისას. ხოლო ტრადიციაში დამკვიდრებული დასახელება ამ ხალხისა მომდინარეობს ბერძნულიდან („აიგიპტიოს“) და არაბულიდან („კიბტ“). როგორც ცნობილია, არაბები ეგვიპტეს უწოდებდნენ დარ აღ-



კიბტს, რაც ნიშნავს კოპტების სახლს. თანამედროვე გამოყენებით სიტყვა კოპტი გამოხატავს ეგვიპტელ ქრისტიანთა ჯგუფს, ეს უკანასკნელი კი კოპტურ ორთოდოქსულ ეკლესიას. კოპტური ენა წარმოადგენს უძველესი ეგვიპტური ენის პირდაპირ გაგრძელებას, ხოლო დამწერლობა არის ბერძნული ანბანის ადგილობრივი, გადამუშავებული ფორმა დამატებითი შვიდი სიმბოლოთი. შეიძლება ითქვას, რომ ბერძნულის შემდეგ იგი იყო მეორე ძირითადი ენა ძველი ეგვიპტისათვის და იგი გამოიყენებოდა მე-13 საუკუნემდე (შეიძლება უფრო გვიანაც), სანამ არაბული ჩაანაცვლებდა მას [ქამილი 2002 : 1].

დღესდღეობით ოთხი განსხვავებული ქრისტიანული კონფესიაა ეგვიპტეში და აქედან უძველესია კოპტური ორთოდოქსული ეკლესია. იგი ბევრ საერთოს პოვნებს ბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან და მისი გავრცელება ეგვიპტეში დაკავშირებულია წმინდა მარკოზის სახელთან. რაც შეეხება კათოლიციზმს, ის მე-13 საუკუნეში გავრცელდა ფრანცისკე ასიზელის მიერ. უკვე მე-17 საუკუნეში აქტურად მოღვაწეობენ ფრანცისკელი ბერები ზემო ეგვიპტეში. ასევე ვხვდებით პროტესტანტულ ეკლესიას, რომლის გავრცელებაც დაკავშირებულია ამერიკულ პრესვიტერიანულ მისიონერულ მოძრაობასთან მე-19 საუკუნეში [ქამილი 2002 : 1].

როგორც მილად ჰანანმა აღნიშნა, ეგვიპტელთა იდენტობაზე დიდი გავლენა მოახდინა დრომ და სივრცემ, რაშიც მოიაზრება ფარაონთა, ბერძნულ-რომაული, კოპტური და ისლამური ეპოქა. საინტერესოა ის, თუ როგორ გავრცელდა ეგვიპტეში ქრისტიანობა როგორც ახალი რელიგია, რატომ გამოაცხადა ალექსანდრიის ეკლესიამ დამოუკიდებლობა 570 წელს კონსტანტინოპოლისაგან და ზოგადად, როგორ შეძლო ქრისტიანობამ გავრცელება და განვითარება ისლამის პარალელურად [ქამილი 2002 : 2].

ქალაქ ასიუტიდან სამხრეთ-დასავლეთით ათი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს სოფელი დურუნკა, რომელსაც დაახლოებით სამმილიონნახევარი პილიგრიმი სტუმრობს ყოველ წელს. ეს გახლავთ წმინდა ადგილი, სადაც აღნიშნავენ წმინდა ქალწულის დაბადების დღეს [ქამილი 2002 : 12].

დელტისა და ზემო ეგვიპტის გავლით მომლოცველები გადიან საკმაოდ გრძელ გზას, რათა მიაღწიონ საპილიგრიმო ადგილს და დაესწრონ აღნიშნულ ფესტივალს. პილიგრიმთა გარკვეული ნაწილი საფეხმავლო მარშუტს ირჩევს, ზოგი კი – სხვადასხვა სატრანპორტო საშუალებას აქ მოსახვედრად. მომლოცველთა ნაწილი განთავსებულნი არიან იმ ეკლესიის გარემოში არსებულ კარვებში, რომელიც მთავარანგელოზ მიქაელს ეძღვნება, ხოლო დანარჩენნი – წმინდა მარიამის სახელობის მონასტრის მახლობლად არსებულ შენობებში. როგორც წესი, მომლოცველებს თან მიაქვთ ყველა საჭირო ნივთი, რაც შეიძლება, რომ პილიგრიმობისას დასჭირდეთ: გადასაფარებლები, ტანსაცმელი და საჭმელი. 7-22 აგვისტოს განმავლობაში ტერიტორია, სადაც ფესტივალი აღინიშნება, სრულიად იცვლის იერ-სახეს. აქ შევხვებით უამრავ კაფესა თუ მაღაზიას, სადაც შეგვიძლია შევიძინოთ წმინდა ბუკლეტები ან ქრისტიანული სამკაულები ერთ სივრცეში, კარვების „ქალაქის“ გარშემო. სავაჭრო ადგილის კუთხეში დავინახავთ უზარმაზარ ბორბალს, რომელიც გასართობ სივრცეზე მიუთითებს [ქამილი 2002 : 12].

გამთენიისას მომლოცველები შეუდგებიან გზას მთის მწვერვალისკენ იმ მღვიმის მოსანახულებლად, რომელიც იყო თავშესაფარი წმინდა ოჯახისა. ისინი საგალობლებით ფარავენ სამსაათიან საფეხმავლო გზას. მთის წვერზე ასულთ, მათ ხვდებათ ასიუტის ეპისკოპოსი, რომელიც წარუძღვება სადღესასწაულო პროცესიას [ქამილი 2002 : 12]. როგორც წესი, ეპისკოპოსი გამოდის მღვიმიდან ჯვრით ხელში და მას მიაცილებენ შავად მოსილი მღვდელნი, ხოლო ამ უკანასკნელთ თეთრ სამოსში გამოწყობილნი – დიაკონნი, რომელნიც მიაბრძანებენ წმინდა ქალწულისა და ყრმა იესოს უზარმაზარ ხატებს. თავის მხრივ, სამღვდელოებას უკან მიჰყვება დიდი ჯგუფი ათასობით დიაკონისა, ისინი ოთხ მწკრივში მოძრაობენ და ხელთ უკავიათ ჯვრები. ეპისკოპოსისა და მისი თანმხლები სამღვდელოების გამოჩენას ხალხი დიდი სიხარულით და შეძახილებით ხვდება. სტუმრის ყურადღებას აუცილებლად მიიქცევს მოხუცი მეთულუხჩე, რომელიც უსასყიდლოდ ამარაგებს წყლით იქ შეკრებილთ [ქამილი 2002 : 14].

ეპისკოპოსი აღმართავს ჯვარს მომლოცველთა წინაშე, შემდეგ იწყება წყლით კურთხევის ცერემონია. პილიგრიმნი ცდილობენ, რომ ნაკურთხი წყლის წვეთები შეეხოს პალმის რტოებს, რომლებიც თან მიაქვთ მთაზე მსვლელობისას, და პარალელურად მღერიან საგალობლებსა და ჰიმნებს. პროცესის ბოლოს ათავისუფლებენ ოთხ მტრედს, რომელნიც განასახიერებენ წმინდა ქალწულს [ქამილი 2002 : 14]. თეთრსამოსიანი მღვდელნი ათავისუფლებენ მტრედებს, რომლებსაც ევალებათ სასიხარულო ამბის მიტანა ქვეყნიერების ოთხივე კიდეში. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ტრადიციის ფესვები წინარექრისტიანულია, მსგავსი პროცესის აღმნიშვნელ ბარელიეფურ გამოსახულებებს ხშირად ვხვდებით ძველი ეგვიპტური ხანის ტაძრების კედლებზე. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ქრისტიანობა და წარმართული ტრადიციები ერთმანეთის პარალელურად არსებობდა და არსებობს ეგვიპტეში, მიუხედავად მთელი რიგი რეფორმებისა, რომლებიც იმპერატორების თეოდოსიუსისა და იუსტინიანეს (527-65 წწ.) მმართველობის პერიოდში გატარდა. ამ კონკრეტულ პერიოდში დაიხურა ბევრი წარმართული ტაძარი და აიკრძალა ძველეგვიპტური ღმერთების თაყვანისცემა, შესაბამისად, ეგვიპტელთა საყვარელმა ღმერთებმა სახე იცვალეს და შეერწყნენ წმინდა ქალწულის კულტს [ქამილი 2002 : 14].

მითი ოსირისის, ისიდასა და ჰორუსის შესახებ ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული და ცნობილი მითია. იგი შემორჩენილია როგორც წერილობითი, ისე ზეპირსიტყვიერი გადმოცემის სახით. მასში მოთხრობილი ამბავი გარკვეულწილად აისახა ქრისტიანულ ეგვიპტურ ლიტერატურაში და ზოგადად ქრისტიანობაში ოჯახის ინსტიტუტისა თუ სინმინდების თაყვანისცემის სახით. ასევე პარალელს პოვებს ისიდასა და წმინდა მარიამის ამბავი თავიანთი პირმშობების დაცვისა და გადამალვის შესახებ [ქამილი 2002 : 14].

პირამიდის ტექსტები უძველესია, რომლებიც ოსირისის შესახებ გვანვდიან ინფორმაციას, თუმცა უფრო ვრცელ ტექსტს გვაძლევს ბერძენი მწერალი პლუტარქე (66-67 წწ). გადმოცემის მიხედვით, ოსირისი იყო ჭკვიანი და ბრძენი მმართველი, მისი მეუღლე

გახლდათ ისიდა. ოსირისი მოკლა საკუთარმა ძმამ – სეთმა, რომელიც უდაბნოს ბოროტ ღვთაებადაა მინეული. მისი გვამი მდინარე ნილოსში ჩაუგდია. ისიდას უპოვია ქმრის ცხედარი, მაგრამ სეთის იგი მოუპარავს, 40 ნაწილად დაუყვია (ნომთა რიცხვის შესატყვისად) და მთელ ეგვიპტეში მიმოუბნევია. დიდი ძებნის შემდეგ ისიდას შეუგროვებია ოსირისის სხეულის ნაწილები და გაუცოცხლებია. ქალღმერთი ისიდა ითვლებოდა მეზღვაურთა და მიწის მფარველად. იმ ტანჯვის გათვალისწინებით, რომელიც მან გამოიარა მეუღლის ნაწილების შესაგროვებლად, იგი ითვლება გაჭირვებაში მყოფი ადამიანის შემწედ, რომელიც მუდამ მზადყოფნაშია მათ დასახმარებლად. ქალღმერთის ეს თვისებანი საერთოს პოვებენ წმინდა ქალწულთან და მოგვიანებით, როდესაც აიკრძალა ყველა წარმართული ღვთაების თაყვანისცემა ეგვიპტეში, ისიდას კულტი შეერწყა ღთისმშობლის კულტს და მისი თვისებები დედა ღვთისმშობელს მიენერა [ქამილი 2002 : 16].

ეგვიპტური ტექსტები მკითხველს მიანიშნებენ იმ უდიდეს სიყვარულსა და ერთგულებაზე, რომელიც ქალღმერთმა ისიდამ გამოიჩინა თავისი მეუღლის ოსირისისა და შვილის ღმერთკაცი ჰოროსის მიმართ. ახალი სამეფოს (1567-1080 ჩვ.წ.აღ.) ხანაში გაიზარდა ისიდას როლი ეგვიპტურ მითოლოგიაში, ეთაყვანებოდნენ როგორც წმინდა დედასა და ქალღმერთს. მოგვიანებით ისიდას კულტმა დაიპყრო თითქმის მთელი რომაული სამყარო. მითმა ოსირისის, ქალღმერთ ისიდასა და ღმერთკაც ჰოროსის შესახებ გარკვეული გავლენა მოახდინა წმინდა მარიამის კულტის ეგვიპტეში გავრცელება-განმტკიცებაზე [ქამილი 2002 : 16-17].

იმპერატორ თეოდოსიუსის მმართველობის ხანაში, 379 წელს აიკრძალა კერპთაყვანისმცემლობა, შესაბამისად, გაუქმდა ადგილობრივი ღმერთებისა თუ ქალღმერთების ტაძრები. ეგვიპტელებმა წმინდა მარიამსა და ღმერთკაც იესოში დაინახეს თავიანთი საყვარელი ღვთაებები: ისიდა და ჰოროსი. შეიძლება ითქვას, რომ კოპტურ ქრისტიანულ ეკლესიაში წმინდა მარიამს უკავია ის ადგილი, რაც ქალღმერთ ისიდას – ფილის ტაძარში. მათი ცხოვრების ისტორიაში ბევრი საერთო დეტალია, ორივე ცდილობს

თავისი პირმშოს დაცვას იმ ადამიანებისაგან, რომელთაც სურთ, ზიანი მიაყენონ მათ [ქამილი 2002 : 18].

ღურუნკას დღესასწაულიც წარმოადგენს ერთგვარ ნაზავს წმინდა მარიამისა და ქალღმერთ ისიდას დღესასწაულისას. მღვდელს, რომელიც მიაბრძანებს წმინდა ქალწულისა და ყრმა იესოს ხატებს, წინ უსწრებს მეორე მღვდელი, რომელიც საკმეველს აკმევს. ეს კონკრეტული ნაწილი ამ რიტუალისა შემონახულია ფარაონთა ეპოქიდან, ჰოროსის დღესასწაულიდან, რომელიც აღინიშნებოდა ყოველი წლის გაზაფხულსა და შემოდგომაზე ფილის ტაძარში [ქამილი 2002 : 18].

ბევრი ეგვიპტური ზეპირსიტყვიერი თუ წერილობითი წყარო ადასტურებს წმინდა ოჯახის ცხოვრებას ეგვიპტეში და ეს ინფორმაცია გვხვდება როგორც ქრისტიანულ, ისე არაბულ–ისლამურ თემში. მეტად მნიშვნელოვანია გადმოცემები იმ ადგილებისა თუ ტერიტორიის შესახებ, სადაც დაისვენა ან ღამე გაათია წმინდა ოჯახმა. ხშირ შემთხვევაში ვერ დგინდება ამა თუ იმ წერილობითი ტექსტის ჩანერის დრო და თარიღი [ჰაპაკონსტანტინუ 2006 : 65–86]. გვაქვს შემთხვევები, როდესაც წყაროებში გადმოცემული ამბავი ან ჩანერის თარიღი ეჭვქვეშ აყენებს სხვა ისტორიული წყაროს უტყუარობას. როგორც პროფესორი სტეფან დავისი აღნიშნავს, კოპტურ სვინაქსარში, რომელიც თავისთავად შექმნილია წმინდანთა და წამებულთა მიერ, მოხსენიებულია ოცდაორი კონკრეტული ადგილი, რომელიც დაკავშირებულია წმინდა ოჯახთან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად გვხვდებიან ანონიმი ავტორები, რომელთა გადმოცემაც ემყარება სხვადასხვა ისტორიულ წყაროს [ქამილი 2002 : 18].

კოპტური ტრადიციის თანახმად, წმინდა ოჯახი ეგვიპტეში მოხვდა ჩრდილოეთ სინაის გავლით. ისინი პელუსიაკის დელტის გავლით ჩავიდნენ ქალაქ ბუბასტისში [ქამილი 2002 : 19]. როგორც გადმოცემა გვეუბნება, იოსები გასულა სოფელში სასმელი წყლისა და საჭმლის მოსაპოვებლად, თუმცა ხელცარიელი დაბრუნებულა ოჯახთან. მზის ჩასვლისას ხის ქვეშ მყოფი ოჯახი ერთ ფერმერს, სახელად აკლოუმს, შეუმჩნევია. იგი დაინტერესებულა მათი ვინაობით. წმინდა მარიამს უთქვამს, რომ ისინი იყვნენ ღარიბი

ებრაელები პალესტინის მიწიდან და რომ მიდიოდნენ ბაბილონში (ძველი კაირო). ფერმერმა ისინი ოჯახში მიიპატიჟა. აღმოჩნდა, რომ აკლოუმის მეუღლე სარა ავადმყოფობდა და ვერ შეძლებდა, სტუმრებთან ერთად გაეტარებინა საღამო. პატარა იესოს შეწევნით იგი განიკურნა და თან გაჰყვა წმინდა ქალწულს ბასტეტის (კატა ქალღმერთი) ტაძრის სანახავად. როდესაც წმინდა მარიამი ყრმა იესოსთან ერთად შესულა ტაძარში, იქ არსებული ყველა წარმართული ღვთაების კერპი დამსხვრეულა. ახალი ამბავი სწრაფად გავრცელებულა რეგიონში. განრისხებულმა მმართველმა განკარგულება გასცა, რომ მასთან მიეყვანათ მარიმი თავის პირმშოსთან ერთად. საბოლოოდ, წმინდა ოჯახმა დატოვა ბუბასტისი და გადავიდა ბელბეისში აკლოუმისა და მისი მეუღლის დახმარებით [ქამილი 2002 : 19-21].

როგორც ქრისტიანული, ისე ისლამური წყაროები აღნიშნავენ, რომ წმინდა ოჯახი თბილად მიიღეს ბელბეისის მაცხოვრებლებმა. გადმოცემის მიხედვით, ქალაქში არსებულ ერთ-ერთ ხეს, რომელიც მოგვიანებით ნაპოლეონის ჯარისკაცებმა მოჭრეს, წმინდა ქალწულის სახელი უწოდეს მისი სტუმრობის შემდგომ. იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი ხანი დაყო წმინდა ოჯახმა აღნიშნულ რეგიონში, სხვადასხვა ინფორმაციას გვანვდის კოპტური და არაბული წყაროები. კოპტური ვერსიისთ, ისინი სამწელიწადნახევარი იმოფებოდნენ ბელბეისში, ხოლო არაბული წყაროების თანახმად, შვიდი წელი [ქამილი 2002 : 22].

აღ-მატარიაში დღემდე შემორჩენილი ნეკერჩხალი, რომელსაც წმინდა ქალწულის ხეს უწოდებენ. მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა რომის იმპერიაში მე-4 საუკუნეში, ხე წარმოადგენდა საპილიგრიმო ადგილს. უნდა აღინიშნოს, რომ ხის ეს სახეობა ფარაონთა ეპოქაშიც წმინდად და საკრალურად მიიჩნეოდა.

იმას, რომ წმინდა ოჯახი იმყოფებოდა ბაბილონში ანუ ძველ კაიროში, ადასტურებს დღემდე შემორჩენილი სამი ეკლესია, რომელთაგანაც ერთ-ერთი წმინდა ქალწულის სახელს ატარებს [ქამილი 2002 : 22].

წმინდა ოჯახი ბაბილონიდან გადავიდა მადიში, კაიროდან სამხრეთით მდებარე გარეუბანში. აქ არსებულ წმინდა მარიამის სახელობის ტაძარის კიბეებს მივყავართ მდინარის სანაპირომდე და, გადმოცემის მიხედვით, წმინდა ოჯახი აქედან გაემგზავრა ნავით ზემო ეგვიპტეში. თუ გავითვალისწინებთ მონასტრის „დარ ალ-მუჰარაფი“ ბერის მონაცოლს, იმ დროისათვის ბევრი ებრაული ოჯახი ცხოვრობდა სამხრეთ ეგვიპტეში და სწორედ ისინი დახმარებიან იოსებს ოჯახის გადაყვანაში ზემო ეგვიპტის მიმართულებით ოქროს ფულის სანაცვლოდ [ქამილი 2002 : 22-23].

წმინდა ოჯახის სახელს უკავშირდება გებელ ალ-ტაირში არსებული ულამაზესი და თვალწარმტაც ტაძარი, რომელიც მდინარე ნილოსის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს და ცნობილია, როგორც პალმის ხის ქალწულის ეკლესია. გადმოცემის მიხედვით, როდესაც წმინდა ოჯახი ზემო ეგვიპტისაკენ გადაადგილდებოდა ნავით, კლდის ნაწილი ჩამონგრეულა და წმინდა ქალწულის ოჯახსა და მის თანმხლებ პირებს საფრთხე შექმნიათ, თუმცა ყრმა იესომ სასწაულებრივი ძალით შეაჩერა კლდის მასის ვარდნა და ალ-ტაირში არსებული ეკლესიის მშენებლობაც ამ სასწაულს უკავშირდება. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, იესომ გაშლილი ხელით შეაჩერა კლდიდან ჩამოვარდნილი უზარმაზარი ქვა, რის შემდეგაც მასზე ასახულა მესიის ხელი. სამწუხაროდ, მას ჩვენამდე არ მოუღწევია, თუმცა არის მოსაზრება, რომ იგი მდინარეში ჩავარდნილა და ქვიშაში დამარხულა, მეორე ვერსიის თანახმად, იგი იერუსალიმში წაუღიათ, ხოლო მესამე ვერსიით, იგი სალაჰ ად-დინს გადაუმაღლავს [ქამილი 2002 : 24-25].

ქალაქ ბაჰანასას აღმოსავლეთით მდებარეობს უძველესი ქალაქი ოქსირინჰუსი. მისი მცხოვრებლების რწმენითა და გადმოცემით, ქალაქი ოქსირინჰუსი ბაჰანასასთან ერთად იყო წმინდა ოჯახისათვის ერთ-ერთი სადგომი ეგვიპტეში ყოფნისას. ტრადიციის თანახმად, ყრმა იესოს აქ მიუღია დაწყებითი განათლება. ბაჰანასაში არსებობს მესიის ხე, გადმოცემით იგი ყრმა იესოს დაურგავს [ქამილი 2002 : 25].

კოპტური ვერსიით, წმინდა ქალწულსა და მის ოჯახს არ გაუვლიათ ბაჰანასა, თუმცა მათ ოთხი დღე დაუყვიათ ქალაქის ახლოს მდებარე სოფელში, სახელად აშენ ალ-

ნასრა. ყრმა იესოს ძლიერ მოსწყურებია, მაგრამ ჭა ძალიან ღრმა იყო და წყლის მარაგიც ძალიან ცოტა ყოფილა, რის გამოც შუძლებელი იყო წყლის დაღევა. როდესაც ყრმა იესომ თითი შეახო ჭას, წყლის ღონემ მოიმატა და იგი პირამდე აივსო. თუ ოდესმე მოხვდებით ყველა ზემოთ დასახელებულ ტერიტორიაზე, აღმოაჩინოთ, რომ იქ არსებული ყველა ძველი ჭა უკავშირდება იესოს სახელს და ადგილობრივებს სწამთ, რომ ეს ის ადგილებია, რომლიდანაც ყრმა ქრისტემ შესვა წყალი [ქამილი 2002 : 25-26].

შუა საუკუნეებისა თუ თანამედროვე ისტორიკოსები თანხმდებიან იმაზე რომ დეირ ალ-მუჰარაჯი არის ადგილი, სადაც ღმერთი გამოეცხადა იოსებს და მოუწოდა პალესტინაში დაბრუნებისაკენ, რადგან ჰეროდე გარდაცვლილიყო და იესოს საფრთხე აღარ ემუქრებოდა. აღნიშნული მონასტერი დიდი პოპულარობით სარგებლობს პილიგრიმებში და, ერთ-ერთი გადმოცემით, თავდაპირველად იგი ერთი ჩვეულებრივი სახლი ყოფილა, რომელშიც წმინდა ქალწულის ოჯახი ცხოვრობდა, და მხოლოდ მოგვიანებით გადაკეთდა ეკლესიად. კოპტური ტრადიციის მიხედვით, ქალწულის ოჯახმა სულ ექვსი თვე და ასოთხმოცდახუთი დღე დაყო ეგვიპტეში [ქამილი 2002 : 26].

ეგვიპტეში არსებული ძირითადი ეკლესია-მონასტრების მშენებლობა დაკავშირებულია კონსტანტინე დიდის დედის, დედოფალი ელენეს, სახელთან. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ დედოფალს მოუნახულებია წმინდა ადგილები ეგვიპტეში და მათ შორის წმინდა ქალწულის ტაძარი სახაში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს არის ადგილი, რომელსაც არაბი ისტორიკოსი ელ-მაკრიზი იხსენიებს თავის ნაშრომში სახელწოდებით „ქრისტეს ფეხის ანაბეჭდი“ და თავისი სინმინდით იერუსალიმს უტოლებს. დეირ ელ-მუჰარაჯის ბიბლიოთეკაში აღმოჩენილი ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერის თანახმად, ყრმა იესომ ქვაზე ფეხის შეხებითა და სასწაულმოქმედი ძალის მეშვეობით წყალი გააჩინა მწყურვალ დედისათვის. გადმოცემით, ქვა-რელიკვია მეცამეტე საუკუნეში განადგურებულა მამლუქთა მმართველობის პერიოდში [ქამილი 2002 : 28].



მრავალი ეკლესიის მემკვიდრეობა და აღდგენა ეგვიპტეში დაკავშირებულია ალექსანდრიის ეპისკოპოს თეოფილუსის (384-412 წწ.) სახელთან. მისი ეპისკოპოსობის პერიოდში დადგინდა და აღდგა ყველა ის ისტორიული შენობა-ნაგებობა, რომელთა სახელიც დაკავშირებული იყო წმინდა ოჯახის მოგზაურობასთან ეგვიპტეში. მაგალითად, დაკადოუსი შუბრა ელ-ხეიმაში, თუმცა მისი კავშირი წმინდა ოჯახთან საეჭვოა, რადგან არ არსებობს არც ერთი წერილობითი წყარო, რომელიც ამ ფაქტს დაადასტურებს [ქამილი 2002 : 29].

საპილიგრიმო აღგვილია ვადი ან-ნატრუნი არსებული ტკბილი წყარო „ელ-ჰამრა“. ლევენდის თანახმად, აღნიშნულ ტერიტორიაზე არ იყო სასმელი წყალი და ტკბილი წყაროს გაჩენა სასწაულებრივი ძალით უკავშირდება წმინდა ოჯახს. ასევე მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანია ელ-კუსიაში მდებარე მთათა სისტემა, სადაც აღმართულია ულამაზესი ტაძარი და რომლის სახელიც დაკავშირებულია წმინდა ოჯახთან. ადგილობრივების გადმოცემით, წმინდა მარიაშა და მის ოჯახს თავი შეუფარებიათ აქ არსებულ ერთ-ერთ გამოქაბულში, ხოლო ადგილობრივნი დიდი სიხარულით შეხვედრიან მათ მობრძანებას ელ-ქუსაში [ქამილი 2002 : 32].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ეგვიპტე არის გამორჩეული ქვეყანა, რომელიც დაკავშირებულია ძველი აღთქმის მამამთავრებთან და, რაც მთავარია, განკაცებული ღმერთის, იესოს, ცხოვრებასთან. იგი წარმოადგენს მეორე ქვეყანას პალესტინის შემდეგ, რომელშიც ცხოვრების გარკვეული წლები გაატარა ყრმა იესომ წმინდა მარიამთან ერთად. დედა ღვთისმშობლის კულტი იმდენად დიდია კოპტურ ეკლესიაში, რომ არ არსებობს ჰიმნი ან ყოველდღიური საგალობელი, რომელშიც იგი არ იხსენიება. გარდა ამისა, წმინდა ქალწულთან დაკავშირებული დღესასწაულები აღინიშნება როგორც ყოველწლიურად, ისე ყოველთვიურად და მისი ხატები ამშვენებს ყველა კოპტურ ეკლესიასა და სალოცავს [ქამილი 2002 : 33].

როდესაც განვიხილავთ წმინდა მარიამის კულტს ეგვიპტურ და უფრო კონკრეტულად, კოპტურ ტრადიციაში, აუცილებლად უნდა ვახსენოთ პერგამენტზე

ჩანერილი კოდექსი – კოპტური ხელნაწერი 685, რომელიც ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის ხელნაწერთა კოლექციაში ინახება. ფრიდრიხ ბილაბელის აღწერით, ხელნაწერი წარმოადგენს კოპტური სარიტუალო ტექსტების ნაწილს, რომლებიც თავის მხრივ, ბევრ საერთოს პოვებენ ერთმანეთთან. შინაარსობრივი მსგავსების გარდა, ტექსტებში იკვეთება ფაიუმის საერთო დიალექტური ფორმებიც. თუ გავითვალისწინებთ აღნიშნულ ტექსტებზე მომუშავე მეცნიერების – ბილაბელის და ჰანს ჰუეკის – კვლევებს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კოდექსში შემავალი ტექსტები ერთი და იმავე ადამიანის მიერაა ჩანერილი [იმელი 2000 : 287].

კოპტური ხელნაწერი 685 წარმოადგენს პალიმფსესტს. პირველადი ტექსტი, რომელიც კოპტური ლექციონარის ნაწილს წარმოადგენს, მე-9 საუკუნეს განეკუთვნება. თუმცა ამ ეტაპზე ჩვენი ინტერესის ობიექტია მეორეული ტექსტი „საოცრებათა წიგნი მარიამისა და ანგელოზებისა“. იგი წარმოადგენს რიტუალურ წიგნს მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი შელოცვებისას. მათგან ნახევარზე მეტი წმინდა მარიამის, ხოლო დანარჩენი ცხრა ანგელოზის სახელზეა შესრულებული. იგი გამოიყენებოდა როგორც სხვადასხვა სნეულებათა განსაკურნად, ისე დემონებისა და ბოროტი სულების განსადევნად ადამიანის სხეულიდან [იმელი 2000 : 287-291]. ზოგადად, ამ წიგნის მკითხველის ინტერესია, განადიდოს და განაზოგადოს წმინდა ქალწულის სასწაულმოქმედი ძალა და მადლი.

## თავი V. მიძინება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა

მარიამის მიძინების კოპტური ვერსია, რომელიც იელის ბინეკის ბიბლიოთეკაში ფრაგმენტების სახით არის შემორჩენილი, ახალ ღირებულ ინფორმაციას გვაძლევს უძველეს ქრისტიანულ ხანაში ამ იგავის გამოჩენის შესახებ. მრავალ ენაზე არსებული ფართოდ გავრცელებული გამოცხადებიდან და საღვთო წიგნებიდან თუ ვიმსჯელებთ, ქალწული მარიამის წარმავალი ცხოვრებიდან ზეციურ სამყოფელში უხრწნელად ამალლების ამბავს განსაკუთრებული ძალა ჰქონდა ადრეული ხანის და შუა საუკუნეების მორწმუნეთა თემზე. წმინდა მარიამის პასაჟების კითხვა, მოსმენა და განხილვა, თუ როგორ ებრძოდა ის სიკვდილის საფრთხესა და შიშს, მომავალი აღდგომის იმედის სხივით ავსებდა ღვთისმოსავთ და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მოასწავებდა ზეცაში დედა ღვთისას ადრეულ მიბრძანებასა და იქ დავანებას, სადაც იგი მზად იყო, მოესმინა მათი ვედრება და ეშუამდგომლა მათთვის თავის ძესთან. როგორც ჩანს, იმისათვის, რომ სრულად ადამიანური სახე მიეღო ქალწულს, უნდა განეცადა სიკვდილი მიუხედავად იმისა, რომ იგი ღვთის დედაა, და უნდა მიეღო იგი უშფოთველად სულითა და ხორციით [სელეუ 2019 : 37-38].

წმინდა მარიამის მიძინების პირველ ეპიზოდს ვხვდებით ახლო აღმოსავლეთის გვინ ანტიკურ ხანაში სხვა „აპოკრიფული“ ნაწერების მსგავსად, რომლებიც ღიად და დაუცველად დარჩა კანონიკური წმინდა წერილიდან მათი გამორიცხვის გამო. ძირითადი ნარატივი ფერებისა და დეტალების ბევრი ვარიაციით ვხვდება, რამდენადაც ისინი მრავალ ენაზე ითარგმნა და გადმოიცა, მოხდა მათი პერიფრაზირება და შეჯამება სხვადასხვა მოძღვრებაში, ასევე ისინი წარმოჩინდა სახვით ხელოვნებაში. განცალკევებულ გადმოცემებში, ვარიაციების სიუხვის მიუხედავად, ამბავი ძირითად სტრუქტურას თანმიმდევრულად მიჰყვება. იესოს ამალლების შემდეგ წმინდა მარიამი იოანეს, იესოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო საყვარელი მოწაფისა და მოციქულის,

მზრუნველობის ქვეშ ცხოვრობდა. იოანე მის სახლში, იერუსალიმში ან ბეთლემში, იმყოფებოდა. როდესაც ქალწულის მიძინების დრო მოახლოვდა, მას აწუხებდა შფოთვა სიკვდილსა და მომავალ ცხოვრებაზე, ღელვა, რაც ნაწილობრივ გამოწვეული იყო მისი ძისა და მოციქულთა მიერ წარმოთქმულ ქადაგებებში მოსმენილი დასჯისა და კრულვის საფრთხეებიდან. მისი მიძინების ბევრი ნარატივი აღწერს იერუსალიმის ებრაელი ლიდერების მხრიდან მის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობრივ ქმედებასა და მუქარას [იმელი 2000 : 38-39].

მიძინების უამის მოახლოებისას წმინდა მარიამს თან ახლდნენ და ამხნევებდნენ სხვადასხვა წმინდანები და სულიერი ავტორიტეტები, რომლებიც სახლობდნენ იმ გამყოფის მეორე მხარეს, რომელიც მიჯნავს მოკვდავობასა და უკვდავებას: ამაღლებული ქრისტე, მისი მოციქულები და ანგელოზთა დასი. ასევე, ხშირად თან ახლდა ქალწულთა მცირე კომპანია, რომლებიც წმინდა მარიამის მითითებებს იღებდნენ [იმელი 2000 : 39].

მიძინების ამბავი დამონმებულია პატრისტიკულ და შუა საუკუნეების ქადაგებებში და ფართოდაა წარმოდგენილი სახვით ხელოვნებაში. ეს სურათი ასევე შეესატყვისება ქალწულის მიძინების კოპტური ტრადიციის ძირითად თავისებურებებს, გარდა ეგვიპტური ქრისტიანული ტრადიციისა, რომლის მიხედვითაც წმინდა მარიამის სიკვდილი ფიზიკურად რეალურია და მისი სხეულის ზეცად ამაღლება მიძინების გვერდით არ არის აღწერილი. ბერძნული მართლმადიდებლური და რომაული კათოლიკური წმინდა მარიამის მიძინებისა და ამაღლების დღესასწაულებისგან განსხვავებით, კოპტურ რიტუალებში ეს დღესასწაულები 206 დღის დაშორებით აღინიშნება [იმელი 2000 : 40].

მიუხედავად იმისა, რომ გადმოცემის საწყისებში ბევრი ასპექტი ჯერ კიდევ ბუნდოვანია, როგორც ჩანს, წმინდა მარიამის მიძინების შესახებ იგავების თხრობა შუა ხანის ან გვიანდელი მეხუთე საუკუნის პერიოდში უნდა დაწყებულიყო. იგი მეექვსე საუკუნეში გავრცელდა. უფრო მეტად საფიქრებელია, რომ წმინდა მარიამის მიცვალების ამბავი ქრისტიანულ ახლო აღმოსავლეთში აღმოცენდა, სავარაუდოდ, ეგვიპტეში ან სირია-პალესტინაში, ისეთ წრეებში, რომლებიც ეზოთერულ თეოლოგიას

თანაუგრძობდნენ. წმინდა მარიამი უძველეს ვერსიებში გამოკრთა ნაწილობრივ როგორც კოსმიურ და ხსნის საიდუმლოებათა მასწავლებელი. იგი აღჭურვილია საიდუმლო ლოცვით, რომელიც სულს ეხმარება სიკვდილთან მიახლებაში, მატერიალური სამყაროსგან თავის დაღწევასა და ზეციურ სფეროებთან მისვლაში. ამბის გვიანდელ ვერსიებში წმინდა მარიამი უფრო პასიურ როლს ირგებს, ხანდახან საერთოდ დუმს და რამდენიმე უფრო ეზოთერული ელემენტი დაფარული ან გამოტოვებულია [იმელი 2000 : 40-41].

ზოგიერთი მოსაზრებით, მიძინების ამბის ამ მეხუთე-მეექვსე საუკუნეების ვერსიის აღმოსავლურ ქრისტიანულ სამყაროში ესოდენ ფართო მიღება ნაწილი იყო „მართლმადიდებლობის უფრო ფართო დისკურსისა“, რომელსაც შეეძლო წმინდა მარიამის შესახებ უფრო ადრინდელი ჰეტეროდოქსული გადმოცემების გადაკეთება, რამდენადაც მისი კულტი უნივერსალიზაციის ძლიერი სიმბოლო გახდა იმპერიულ ქრისტიანულ თეოკრატიაში. წმინდა მარიამისადმი მიძღვნილი ახალი ეკლესიები და დღესასწაულები იმართებოდა მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენების გარშემო, რადგანაც მისი კულტი ცენტრალური გახდა მართლმადიდებლური ქრისტიანული ძალაუფლებისთვის, რომელიც იმპერიის არაქრისტიან მოსახლეთ დაუპირისპირდა, განსაკუთრებით კი ებრაელებს ისევე, როგორც მის არაკონფორმისტ ქრისტიანულ სუბიექტებს. არქეოლოგიური არტეფაქტებიც ადასტურებენ წმინდა მარიამის კულტის აღზევებას, მაგალითად, პალესტინაში ნაპოვნი მიძინების ვიზუალური გამოსახულება პილიგრიმის რელიქტზე. ხუთ სხვადასხვა რეპრეზენტაციაში წმინდა მარიამს ვხედავთ განსვენებით სანოლზე მწოლიარეს, მოციქულებით გარშემორტყმულს, წმინდა იოანეს თავი მის მკერდზე აქვს მისვენებული, წმინდა პეტრე მის თავთან დგას და წმინდა პავლეს მისი ფერხნი უპყრია. ქრისტე თავის მკლავებში ჩვრებში გახვეულ ახალშობილს არწევს (რომელიც მარიამის სულს განასახიერებს), ან მალლა აღაპყრობს ციდან გამოწვდილი მამის ხელის მიმართ; ხოლო ანგელოზები (მათ შორის წმინდა მიქაელი) ფონზე დგანან ან ლივლივებენ ადამიანთა ფიგურების თავზე [იმელი 2000 : 41-42].

შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნების ამ შედარებით სტაბილური გამოსახულებისგან განსხვავებით, წმინდა მარიამის მიძინებისა და ამაღლების ტექსტობრივი წყაროები გასაოცარ სახე-სხვაობებს ავლენენ. თუმცა ბოლო ათწლეულის განმავლობაში ტექსტებმაც გარკვეული წესრიგი შეიძინა ანტიკური ხანიდან შუა საუკუნეებამდე. ზოგიერთი მკვლევარისთვის მთავარი მიდგომა გახდა სიუჟეტისა და ნარატივის დეტალების თანაზიარი ელემენტების ძიება. მათ უარი თქვეს დოგმატურ ისტორიებზე პირველადი ვერსიების განსაზღვრისას. ესბროკი დაეყრდნო მის მიერ შესწავლილ კოპტურ, ეთიოპიურ და ქართულ ვერსიებს და მიძინების შესახებ ტექტების უმრავლესობა ორ მთავარ ჯგუფად დაყო. ერთ ჯგუფს დაარქვა პირობითად „სიცოცხლის ხე პალმა“, ხოლო მეორეს – „ბეთლემისა და ცენზურების“ ჯგუფი. „პალმის“ ჯგუფს ახასიათებს ქრისტეს მიერ წმინდა მარიამისთვის პალმის ტოტის ძღვნად მირთმევა, რომელიც მასთან მაშინ ჩნდება, როდესაც აფრთხილებს მისი გარდაცვალების დღის მოახლოების შესახებ. შემდგომში ეს პალმის ტოტი მნიშვნელოვან ნაწილს იკავებს ნარატივში და განასახიერებს აკოტროფულ ჯოხს და ზიანისა და განკურნების ძლიერ წყაროს; ზოგიერთ ვერსიაში პალმის ტოტი საბოლოოდ სამოთხეში ირგვება და მისტიურ სიცოცხლის ხედ იქცევა. ამბების ამ წყებაში წმინდა მარიამის სახლი იერუსალიმში მდებარეობს. ბევრ ამგვარ ტექსტში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება საღვთო სამოსელზე, რომელსაც იესო აძლევს მარიამს, რათა ატაროს იგი, როგორც დასაკრძალავი სამოსი [იმელი 2000 : 45-46].

„ბეთლემისა და ცენზურების“ ჯგუფს აკლია პალმის ტოტი (ის ასევე არ ინტერესდება მარიამის დაკრძალვის სამოსით). მათ ნაცვლად ეს ტექსტები ხშირად გვთავაზობს მოციქულებისა და წმინდა მარიამის ლოცვასა და საკმეველს. მარიამი ფლობს სახლებს ბეთლემშიც და იერუსალიმშიც [იმელი 2000 : 46].

უახლესი სწავლულები უფრო შორსაც წავიდნენ. ზოგიერთი ტექსტი, მათ შორის კოპტური პაპირუსი, წარმოადგენს „სიცოცხლის ხის – პალმის“ ჯგუფში გამოჩენილი ტრადიციების მიმდინარეობის ადრეულ ფორმას. ამ ქვე-კლასის ერთ-ერთი მთავარი

ასპექტია ის, რომ ამბის დასაწყისში წმინდა მარიამს ანგელოზისებური სახით მოსული ქრისტე გადასცემს „საუდუმლოებათა წიგნს“, ნაცვლად პალმის ტოტისა. ეს წიგნი შეიცავს შესაქმის საიდუმლოებებს და თან ახლავს ლოცვის სიტყვა, რომელიც უნდა გამოიყენოს ქალწულმა მზის ამოსვლისას გარდაცვალების დღეს, რათა უზრუნველყოს სულის უსაფრთხო ამაღლება ზეციური სფეროების გავლით. მას ანგელოზი-ქრისტე ასევე სთავაზობს, რომ ეს წიგნი და ლოცვის ცოდნა გადასცეს მოციქულებს. ასე რომ, როდესაც იოანე მოღის მარიამის დასახმარებლად, როცა „მისი სხეულიდან განსვლის“ დღე ახლოვდება, მას იგი თავის შიდა ოთახში შეჰყავს, გაანდობს საიდუმლო ლოცვას, გადასცემს წიგნს და აჩვენებს მის ზეციურ დასაკრძალავ სამოსელს. წმინდა მარიამი წარმოთქვამს ამ ლოცვას მიძინების დღის დილას, რის შემდეგაც წიგნს წარუძღვარებენ ან დებენ მის სასვენებელზე, როცა მოციქულები მიასვენებენ მის სხეულს დასაკრძალავად. განხილულ „წინა-პალმის“ ტექსტებში წიგნის ნაცვლად ქალწული იოანეს აძლევს პალმის ტოტს, რომელიც მას მიანდო ქრისტე-ანგელოზმა, და პალმა იმავე როლს ასრულებს, რასაც წიგნი, როდესაც მოციქულები მიუყვებიან პროცესიას სამარხისკენ [იმელი 2000 : 47-48].

წმინდა იოანეს ნარატივში მნიშვნელოვანი ასპექტები და ენა, განსხვავებით „პალმის“ გვიანდელი ნარატივებისგან, დამოწმებულია ზოგიერთ სხვა ტექსტშიც. ქრისტეს თავდაპირველი გამოცხადება მარიამთან „დიდებული ანგელოზის“ ფორმით, რომელიც, გარდა პალმის ტოტისა, ანდობს მას საიდუმლო ლოცვას „სხეულიდან გასვლის“ დღეს გამოსაყენებლად, დალოცვებში, რომელსაც იგი თავის ძეს სთავაზობს, წმინდა მარიამი საუბრობს „საქორწილო პალატაზე“, „სამოსელზე“, რომელიც თან ახლავს მას „მეშვიდე ცაზე“, და მიმართავს მას, როგორც „დაფარულ რასას“. იგი დახმარებას სთხოვს, „რათა გადასცეს ძალები“ მის სულს. ბევრი ეს ტერმინი მოგვაგონებს მისტიური და ჰეტეროდოქსული ქრისტიანობის ენას, განსაკუთრებით კი „გნოსტიკურ“ მითს, თუმცა, როგორც სწავლულები აღნიშნავენ, ძნელია ნარატივის სხვა ასპექტების (განსაკუთრებით

შექმნის შედარებით უფრო პოზიტიური შეხედულების) შერიგება უმეტეს გნოსტიკურ იდეოლოგიებთან [იმელი 2000 : 49-50].

წმინდა მარიამის ლოცვა, რომელსაც მარიამი წარმოთქვამს „მისტერიების წიგნის“ მიძინების ნარატივში, მოგვიანებით ცალკე ნაწყვეტად გავრცელდა, როგორც კოპტური მაგიური ტრადიციის მთავარი „რიტუალური ძალის მქონე ტექსტი“ [იმელი 2000 : 50].

მიუხედავად ამ მიმართებებისა „მისტერიების წიგნისადმი“, წმინდა იოანეს მიერ გადმოცემული მიძინების ნარატივში, ამ ტექტში პალმის ტოტს ყველგან ტრადიციული დატვირთვა აქვს. საუკეთესო ფორმით „წინარე-პალმისა“ და „მისტერიების წიგნის“ ვერსიებიდან ეთიოპური Liber requiei (მიძინების წიგნი) შემოინახა. იგი სრულ გადმოცემას მოიცავს, განსხვავებით სირიული Obsequies–ისაგან (დაკრძალვის რიტუალისაგან), ქართული ფრაგმენტებისა და იელის კოპტური პაპირუსისაგან, და ამბის ადრეულ სახეს ინარჩუნებს იმ დრომდე, ვიდრე პალმის ტოტი შეავსებდა წმინდა იოანეს ნარატივში „მისტერიების წიგნს“, ან საერთოდ გამორიცხავდა მას, როგორც ეს მოხდა წმინდა მელიტოს Transitus-ში (ამ ქვეყნიდან მარადიულ ცხოვრებაში გადასვლა, გარდაცვალება) ან გალურ წმინდა მარიამის ანდერძში. ის მნიშვნელობა, რაც მაგიურ პალმის ხეს ენიჭება, რომელიც ერთ დროს ძირს დაიხარა, რათა მშიერი ჩვილი იესო გამოეკვება, როგორც ანგელოზი შეახსენებს წმინდა მარიამს შესავლის სცენაში, შესაძლოა იყოს პალმის შესაფერისობა – ჩანაცვლოს მეტად პრობლემატური „მისტერიების წიგნი“. გარდა ამისა, იმ ეპიზოდში, სადაც ებრაელები ბრმავდებიან წმინდა მარიამის სასვენებელზე განხორციელებული იერიშის გამო, წმინდა პეტრე გვთავაზობს „პალმის ფოთოლს ამ წიგნიდან“, როგორც გადარჩენის ინსტრუმენტს Liber requiei-ის მიხედვით, და არა – პალმის ტოტს ან საგანს სხვა ვერსიებიდან. შესაძლებელია, რომ „მისტერიების წიგნი“ წარმოდგენილი იყო, როგორც მაგიური პალმის ხის ფოთლებზე დაწერილი წიგნი, მაგრამ იყო თუ არა ეს ასე, ნებისმიერ შემთხვევაში სცენა მიგვანიშნებს პროცესზე, რომლითაც წიგნი ჩანაცვლდა წრეებში გამოსახული პალმით, რომელშიც წმინდა მარიამისადმი მიმდობილი კოსმიური მისტერიების ცნება საკმაოდ ამაღელვებელია [იმელი 2000 : 50-51].



ეთიოპიური Liber requiei მიძინების ამბის ძალიან ადრეულ ფორმას წარმოადგენს. მისი შედგენის თარიღად მეხუთე საუკუნის შუა პერიოდი ივარაუდება მაშინ, როცა „წინარე-პალმის“ ნარატივის უძველესი არსებული ხელნაწერი (სირიული Obsequies) პალეოგრაფიულად ქრისტეს შობიდან 500-იანი წლებით დათარიღდა. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ პალმის ტოტი უფრო ადრეულ ტექსტებში სრულებით არ ფიგურირებს [იმელი 2000 : 51-52].

ეზოთერული ენის ნიმუში და „წინარე-პალმის“ ტექსტების ხატოვანი გრაფიკა ხსნის გვიანდელ ანტიკურ სასულიერო ტრადიციაში წარმოჩენილ წინდახედულობას, როდესაც „მართლმადიდებლური“ ტაძრის ლიდერებმა მიიღეს მიძინების შესახებ გადმოცემა, მიუხედავად მისი საკმაოდ ჰეტეროდოქსული საწყისებისა. მათთვის, ვინც მიჩვეულია კურთხეული ქალწულის ძირითადად პასიურ როლს „გავრცელებულ“ ქრისტიანობაში, საკვირველად შეიძლება ჩანდეს ზოგიერთ უძველეს ტექსტში წარმოდგენილი წმინდა მარიამის, ქრისტეს დედის, როგორც ზეციურ სწავლებათა განმცხადებლის, ნიშანი. არა მხოლოდ „წინა-პალმის“ ტექსტები წარმოაჩენს წმინდა მარიამს, როგორც მოციქულთა ხელმძღვანელს, წიგნში დაფარულ ეზოთერულ მისტერიებში, არამედ საღვთო სამოსელში მის ამალგების ლოცვასაც, რომელიც მას ქრისტე-ანგელოზმა მისცა „სხეულიდან გასვლისთვის“ მზადებისას, ყოველივე ამას უჩვეულო ასპექტები გააჩნია. ლოცვას ის დატვირთა გააჩნია, რომ ახლად გათავისუფლებულ სულს შეაძლებინოს „გვერდი აუაროს დაბრკოლებებს და ასევე გაიაროს ყველა სამყარო“ (Liber requiei 15), ხოლო ზეციური სამოსელი იმისთვისაა, რომ შექმნას ისეთი საშუალება, რომელიც გადაიყვანს სულს „მეშვიდე ცეზაში“, წმინდა მარიამის მიერ ქრისტეს დალოცვის სიტყვების მიხედვით (Liber requiei 37). სავარაუდოდ, ზეციური სამოსელი თავდაპირველად აღნიშნავდა „ახალ სულიერ სხეულს“, რომელსაც უნდა ჩაენაცვლებინა ხორციელი ჭურჭელი სულისა გარდაცვალების უამს, ქრისტიანული მისტიკური სწავლების მიხედვით [იმელი 2000 : 52].

ადრეული „წინარე-პალმის“ ტექსტების აღნიშნული ელემენტები ნათელს ჰფენს, რატომ იღვნიან ასე გულმოდგინედ გვიანდელი „პალმის სიცოცხლის ხის“ მიძინების ნარატივების მნიშვნელოვანი წარმომადგენლები, რათა აეხსნათ და დაეცვათ მათი ნღობა ამკარად საეჭვო და მწვალებლური ლიტერატურული ნაშრომისადმი. მაგალითად, *Transitus Mariae* (მარიამის გარდაცვალება, მიძინება) აქცენტს აკეთებს სავარაუდო ავტორის ახლო ურთიერთობაზე იოანე მოციქულთან და გაითამაშებს ბიბლიურ სცენას, სადაც ჯვარცმული ქრისტე მას წმინდა მარიამზე ზრუნვას დაავალებს. პროლოგში მელიტო პრეტენზიას გამოთქვამს, რომ მან აღადგინა ამბის სამოციქულო ჭეშმარიტება, ვინაიდან განწმინდა ამბავი ერეტიკოსი გამყალბებლის, ლუციუსის, მიერ დამატებული უხილავი ელემენტებისაგან (რომელიც ასევე ცნობილი იყო, როგორც „დამნაშავე“ მოციქულთა აპოკრიფული აქტების დაწერისათვის). მელიტო (თავადაც, რასაკვირველია, ღვთისმოსავი, რომელმაც, სავარაუდოდ, საკუთარ ფანტაზიასაც მისცა გასაქანი) აცხადებს, რომ ლუციუსმა „ბოროტი კალმით შებღალა ღვთივკურთხეული მარადქალწული მარიამის გამგზავრება.“ მსგავსად ამისა, როდესაც იოანემ, თესალონიკის მეშვიდე საუკუნის მღვდელმთავარმა, მოახდინა მისი მიძინების ადრეული ნარატივის პერიფრაზირება თავის ქადაგებაში, რომელიც კოიმესის დღესასწაულზე წარმოთქვა 15 აგვისტოს, ახსნა, რომ დღესასწაული იმ დრომდე არ გამართულა მის ეკლესიაში, რადგან საჭირო იყო „გაენმინდა ბოროტი დანამატები“, რომლებიც სავარაუდოდ შემოიჭრა ამბავში „აბეზარი ერეტიკოსებისგან“ [იმელი 2000 : 52-53].

სარდინიელი მელიტო და თესალონიკელი იოანე გულწრფელად დაინტერესებულები იყვნენ მიძინების ძველი გადმოცემით. თუმცა იოანეს ღვთისმშობლის მიძინების ქადაგებაში „ღიადი ანგელოზი“ კვლავ ჩნდება შესავალ სცენაში (ქადაგება 3), მალე გადასინჯული „პალმის სიცოცხლის ხის“ ნარატივის შესწორებულ ვერსიაში აღმდგარი ქრისტე ჩაანაცვლებს ანგელოზს, „პალმის ტოტს – „მისტერიების წიგნით“, და სპობს ყველა მითითებას სულის მოგზაურობებზე მეშვიდე ზეცაში ღვთიური სამოსელით [იმელი 2000 : 53].

მარიამის ლოცვა უნდა გამხდარიყო ჩვეულებრივი მიმართვა ღვთისადმი, რადგან იგი გარდაცვალების მოლოდინშია. თუმცა ქალწულს მაინც შეეძლო შეეყვანა იოანე თავის შიდა ოთახში მხოლოდ იმისათვის, რათა ეჩვენებინა მისთვის პალმა და მისი დასაკრძალავი ტანსაცმელი: ზეციური სამოსელი, რომელიც ერთ დროს მის ამქვეყნიდან გასვლას აღნიშნავდა, შემდგომ ჩვეულებრივი მიცვალებულის სუდარა გახდა [იმელი 2000 : 53].

იელის პაპირუსი „წინარე-პალმისა“ და „მისტერიების წიგნის“ მიძინების ნარატივის „პეტეროდოქსული“ ელემენტების სიძველეს ადასტურებს. ხელნაწერის შემორჩენილი ნაწილი მოიცავს „წიგნის“ ნარატივის შვიდ სცენას, იწყება მე-4 სცენაში წმინდა მარიამისა და წმინდა იოანეს შორის დიალოგით და მთავრდება მე-12 სცენაში ქრისტეს ბრძანებით წმინდა პეტრეს მიმართ, დაეკრძალა მარიამის სხეული [იმელი 2000 : 54]. აქედან გამომდინარე, ამბავი, რომელიც ჩვენ აქ წარმოვაჩინეთ, მიჰყვება „წიგნის“ ნარატივს. პირველი სამი, ბოლო ხუთი, მეცხრე და მეთერთმეტე ეპიზოდი დაკარგულია, ხოლო დანარჩენი ნაწილი ამბისა შემორჩენილია დაზიანებული პაპირუსის სახით [იმელი 2000 : 54].

პირველი ეპიზოდი იწყება წმინდა მარიამისა და იოანეს დიალოგით. ეს უკანასკნელი ღვთისმშობელს უწოდებს დედოფალს, თუმცა ხელნაწერი იმდენად დაზიანებულია, რომ ძნელია გავარკვიოთ, თუ რა აზრი იმალება ამ მიმართვაში. არსებობს მოგვიანებით შესრულებული უკეთესი სახით შემონახული ტექსტები, რომლებიც განავრცობენ აზრს და მიგვანიშნებენ, რომ ღვთისმშობელი არის დედოფალი სამოთხისა და ზოგადად ქალთა მოდგმისა. ხელნაწერის ავტორი ცდილობს, რომ მისი ენა ახლოს იყოს ძველ ბერძნულთან და ეთიოპურთან [იმელი 2000 : 55].

სცენა იწყება იმით, რომ მარიამი შედის ოთახში, რომელშიც იოანე იმყოფება, და აჩვენებს მას „საიდუმლოთა წიგნს“, რომელიც მას იესომ გადასცა. ღვთისმშობელი ნათლისმცემელს მოიხსენიებს, როგორც ძმას თავისი პირმშოსი, განსხვავებით სხვა წერილობითი წყაროებისაგან, რომლებიც ღვთისმშობლის მიძინებას ეძღვნება. მასში

მარიამი იოანეს უწოდებს „მამას“ უფალი იესო ქრისტესი. ამ ამბის შემდგი გაგრძელება უცნობია, ვინაიდან დაკარგულია მისი 10 ხაზი, თუმცა მოგვიანო ვერსიების გათვალისწინებით, ამბავი მთავრდება მოციქულთა შეკრებით ღვთისმშობლის მიძინებისას. მეშვიდე თავში ვხვდებით აღმდგარ იესოს, რომელიც წმინდა მარიამს ესაუბრება. ღვთისმშობელი შესთხოვს მას, რომ მართო არ დატოვოს სიკვდილის წინაშე. ტექსტის შემდგომი ნაწილის თანახმად, ქალწული შედის საძინებელში და ლოცვას აღავლენს იესოს სახელზე, რომელსაც მამისაგან ანუ უზენაესისაგან გამომავლ სიცოცხლედ მოიხსენიებს. არსებობს მოგვიანებით შექმნილი ვერსიები თუ ხელნაწერები, რომელთა თანახმადაც, მარიამი იესოს მიმართავს, როგორც შვილსა და უფალს. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ იესო დიდ პატივს მიაგებს და მადლობას უხდის იმისათვის, რომ ქალწულმა თავისი რძით გამოკვება იგი. ღვთისმშობელი, რომელიც კვებას ყრმა იესოს, ძალიან პოპულარულია ლიტერატურაში და განსკუთრებით ეგვიპტურ კოპტურ ხელოვნებაში. იესოს მიერ წარმოთქმული სიტყვები იმ დიდი სიყვარულის შესახებ, რომელიც მას დედა ღვთისმშობლის მიმართ გააჩნდა, მოგვიანო ტექტების ნაწილს წარმოადგენს [იმელი 2000 : 55-56]. აღნიშნული ტექტების მიხედვით, მარიამი ცენტრალური ფიგურაა მოციქულთა და ანგელოზთა შორის.

## დასკვნა

წარმოდგენილი მასალის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

1. წმინდა მარიამი ერთ-ერთი ცნობილი და საყვარელი წმინდანია როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ სამყაროში;

2. ღვთისმშობლისადმი დიდმა სიყვარულმა საფუძველი დაუდო ვრცელი აპოკრიფული ლიტერატურის შექმნას, ასევე ხალხურ თხზულებებსა და მოთხრობებს;
3. აღმოსავლური მარიოლოგია განსხვავდება დასავლური მარიოლოგიისაგან კვლევის საგნისადმი მიდგომითა და დამოკიდებულებით;
4. მარიამის სახეს ვხვდებით ძველ აღთქმაში მინიშნებებისა და სიმბოლოების სახით;
5. ჰაგიოგრაფიული და ჰომილეთიკური მასალის გარდა, მარიამის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ჰიმნოგრაფია;
6. ღვთისმშობლის კულტმა ეგვიპტეში გააერთიანა წარმართული და ქრისტიანული ტრადიციები;
7. გადმოცემები წმინდა ოჯახის ეგვიპტეში ყოფნის შესახებ განასხვავებს და გამოარჩევს ამ ქვეყანას ყველა სხვა ქვეყნისაგან და განსაკუთრებულს ხდის მას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Emmel S., Ägypten und Nubien in spätantiker und christlicher Zeit: Akten des 6. Internationalen Koptologenkongresses Münster, 1996, Herausgeber Stephen Emmel, Reichert Verlag Weisbaden, 2000 (1138 pp.).
2. Kamil J., Christianity in the Land of the Pharaohs, the Coptic Orthodox Church, The American University in Cairo Press, 2002 (311 pp.).
3. "Mary (the mother of Jesus)." *The Columbia Encyclopedia, 6th ed.* . *Encyclopedia.com*. (July 23, 2019)<https://www.encyclopedia.com/reference/encyclopedias-almanacs-transcripts-and-maps/mary-mother-jesus>
4. Papaconstantinou A., Historiography and the Making of the Coptic “Church of the Martyrs” in Early Islamic Egypt, *Dumbarton Oaks Papers*, Vol. 60, Trustees for Harvard University, 2006 (pp. 65-86).

5. Pelikan J., Mary (July 23, 2019) <https://www.britannica.com/biography/Mary-mother-of-Jesus>
6. Peltomaa L. M., Kuldzer A. and Allen P., *Presbeia Theothokou: The Intercessory Role of Mary across Times and Places in Byzantium (4<sup>th</sup>-9<sup>th</sup> Century)*, Published by Austrian Academy of Sciences Press, 2015 (271 pp.).
7. Rubin M., *Mary*, *History Workshop Journal*, No 58, Published by Oxford University Press, 2004 (16 pp.).
8. Samaha J. M., *The Virgin Mary in Eastern Christian Tradition*, Published by *The Maronite Voice*, Volume IX, Issue No. V, 2013 (10 pp.).
9. Sellev Ph., *The Early Coptic Witness to the Dormitio Mariae at Yale*, Published by *American Society of Papyrologists*, 2019 (pp. 1-23.).
10. Toma W., Rev., *Typology of Mary in the Writings of East Syriac Fathers*, *Website of Assyrian Catholic Church*, English article published in 2018.